# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 30 იანვარი 2007 №19 (2942) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველო რუმინეთში პრეტენზიით ჩავიდა



მერაბ კვირიკაშვილი ნაკრებს ახალ ამპლუაში უბრუნდება

გუშინ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ბუქარესტში მწვრთნელ-მოთამაშეებიანად შეიკრიბა და 3 თებერვლის მატჩისთვის ოთხდღიანი მზადება დაიწყო. 3 თებერვალს, ჩვენი დროით ოთხის ნახევარზე, „სტიაუას" სარაგბო სტადიონზე ქართველი „ლელოები" წლევანდელი ერთა თასის პირველ მატჩს გამართავენ რუმინელებთან.

რუმინეთი ბოლო ერთა თასის ჩემპიონი და შარშანს აქეთ ანთიმ.იზ ივერიელის თასის მფლობელიცაა, რომელიც ჩვენსა და რუმინეთს შორის ერთა თასის პროგრამით თამაშდება.

სამატჩოდ მსოფლიოს თასის შესარჩევ შეხვედრებთან შედარებით ჩვენებს აკლიათ შვიდი ძირითადი რაზმელი: თემურ სოხაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, გოდერძი შველიძე, მამუკა მაგრაქველიძე, მამუკა გორგოძე და რატი ურუშაძე.

საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ მალხაზ ჭეიშვილს ბუქარესტში ჩასვლამდე, საფრანგეთში დავუკავშირდით: „მართალია, ლამის მეორე შემადგენლობით მივდივართ, მაგრამ პრეტენზია გვაქვს, რომ ღირსეული რეზერვი გვყავს და თან სათადარიგოებსაც გაზრდილი მოტივაცია ექნებათ: მათ უნდა დაამტკიცონ, რომ ნაკრების ღირსნი არიან. რაც შეეხება შემადგენლობას, უკვე მოფიქრებული გვაქვს, ვინ იქნება ძირითადში და ვინ სათადარიგო" — გვითხრა მწვრთნელმა.

აქვე გეტყვით, რომ თითქმის ორწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდა ფრანგული „პოს" ათი ნომერი მერაბ კვირიკაშვილი, ვინც ადრე შერკინების გამთამაშებლად ირჯებოდა, ახლა კი ამპლუა შეიცვალა. „მეკო" რუმინეთთან ძირითად შემადგენლობაში ათ ნომრად დადგება. ჩვენების შეტევების სტაჟიანი „დირიჟორი" პალიკო ჯიმშელაძე კი ბოლო მცველის პოზიციას გაამაგრებს.

Georgian Lelos

საქართველო რუმინეთთან ძირითადი შემადგენლობა

15 პალიკო ჯიმშელაძე
14 გიორგი შკინინი
13 რეზო გიგაური
12 ირაკლი გიორგაძე
11 ირაკლი მაჩხანელი
10 მერაბ კვირიკაშვილი
9 ირაკლი აბუსერიძე
8 ბესიკ უდესიანი
7 გია ლაბაძე
6 ილო მაისურაძე
5 ლევან დათუნაშვილი
4 ილია ზედგინიძე (კაპ)
3 დავით ზირაქაშვილი
2 აქვსენტი გიორგაძე
1 დავით ხინჩაგაშვილი

სათადარიგონი

16 ავთანდილ კოპალიანი
17 დავით გასვიანი
18 ვიქტორ დიდებულიძე
19 გიორგი ჩხაიძე
20 ბიძინა სამხარაძე
21 დავით კაჭარავა
22 გიორგი ელიზბარაშვილი



## გოგუას პრობლემებს თბილისშიც უქმნიან

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი საელჩოში არ უშვებს!

3

## ბრაზილია ლონდონში გადაწყდება

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი და მისი თანაშემწე რალფ მინგე დღეს-ხვალ თბილისში იქნებიან და ეროვნულ და ახალგაზრდულ გუნდებს 7 თებერვლის ამხანაგური მატჩებისთვის მოამზადებენ. მწვრთნელებთან ერთად ჩამოვა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, თუმცა შესაძლოა, ის და გენმდივანი უჩა უგულავა საქართველო — თურქეთის შეხვედრას ვერც დაესწრონ. საქმე ისაა, რომ 7 თებერვალს ლონდონში ბრაზილია — პორტუგალიის თამაშია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას კი, მოგეხსენებათ, ბრაზილიელებთან ამხანაგურ მატჩზე მოლაპარაკებები აქვს და კონკრეტული დეტალების შესათანხმებლად პირისპირ შეხვედრაა საჭირო. ახალკაცი და უგულავა 5 თებერვალს სწორედ საამსაქმოდ აპირებენ ლონდონში ჩასვლას და ოკეანისგაღმელ კოლეგებთან დეტალურ საკითხებზე შეთანხმებას.

და ერთიც: უეფას ახალარჩეული პრეზიდენტი მიშელ პლატინი ან თურქეთთან მატჩისთვის, ანაც მარტის პირველ დეკადაში გვესტუმრება. ყოველ შემთხვევაში, მას ქართული ფეხბურთის ჩინოსნებისთვის ასე უთქვამს და არა გვგონია, სიტყვას გადავიდეს.



## თებერვალი თუ მარტი? მიშელ პლატინი თავის ქვეყანაში ჩამოდის

# უჰრინი კონტრაქტებს ამზადებს
## თბილისის დინამო ილიჩის რაზმთან ვერ დაირაზმა



**თურქეთში** მოსამზადებლად მყოფმა თბილისის „დინამომ“ გუშინ ამ შეკრების პირველი ამხანაგური მატჩი ითამაშა — უკრაინულ „ილიჩევეცთან“ 0:3 დათმო. თბილისელებმა ერთი გოლი პირველი ტაიმის ბოლოს გაუშვეს, ორი — მეორე ტაიმის დასაწყისში. დინამოელებს რამდენიმე რეალური მომენტი კი ჰქონიათ, მაგრამ, ანგარიშიდანაც ჩანს, ვერ გამოუყენებიათ. ხოლო უკრაინელები ქართველებს, პირველ ყოვლისა, აგრესიულობით სჯობდნენ და შედეგიც სამაგიერო მიიღეს.

დუშან უჰრინმა გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: *კრიშიკაშვილი, შ. კაშია, გ. კაშია, თომაშვილი, გარკუშა, ზ. ჯანაშია, ხმალაძე, ს. კობახიძე, ხუციშვილი, დვალი, ფაბიო.*

შეცვლაზე შევიდნენ: *ლორია, ოდიკაძე, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, გ. მერებაშვილი, ს. იაშვილი, ფეიქრიშვილი, ჩირიკაშვილი.*

„დინამოს“ ავსტრალიელ ნედ ზელიჩს ყელის ტკივილის გამო არ უთამაშია, ხოლო სლოვაკი მილოშ კრშკო გუნდს თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე შეერთებია და მწვრთნელმა ის დაასვენა.

ანთალიიდან სიახლე ისაა, რომ ფაქტობრივად გადაწყვეტილია ზელიჩთან და კრშკოსთან კონტრაქტების გაფორმება, ხოლო სხვა ახალ ფეხბურთელებს უჰრინი ამ შეკრებაზე დააკვირდება და მერე იტყვის, სჭირდება თუ არა ისინი გუნდში.

აქვე გეტყვით, რომ გუშინ ანთალიაში გუნდს ჩააკითხა მმართველმა დირექტორმა ბუბა ტყავაძემ. ჩვენები კი ანთალიაში კიდევ ოთხ საწვრთნელ შეხვედრას გამართავენ.

**ლუკა თალაკვაძე**

# ვიტელები თურქეთამდე ნორჩებს ეუფროსნენ

**1 თებერვალს** თბილისის „ვიტ ჯორჯია“ თურქეთის საკურორტო ქალაქ სიდეში გაემგზავრება და ორკვირიან შეკრებას გაივლის. ვეტერინარები თურქეთში 4 საკონტროლო შეხვედრას გეგმავენ.

თურქეთში გამგზავრებამდე გუნდმა პირველი შეკრების დასკვნით ეტაპზე ბოლო ტესტ-მატჩი ჩაატარა თანაქალაქელ „ნორჩ დინამოელთან“.

„ვიტ ჯორჯიამ“ მეტოქე 2:0 დაამარცხა. გოლები კი ვასილ ლუჭაშვილმა და ნიკა გელაშვილმა გაიტანეს.

ვიტელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *ლურბელეიშვილი (მიქაბერიძე 46), პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, კაიშაური (ბეჭვაია 46), კვალინაძე, ლ. რაზმაძე (წულაძე 46), ბიძინაშვილი, ლუჭაშვილი (ლიპარტია 61), გელაშვილი, კიკნაძე.*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ზესტაფონელთა ყაზახური ორიანი

**თემურ მახარაძის** „ზესტაფონმა“ ანთალიურ შეკრებაზე პირველი ტესტ-მატჩი გამართა და ყაზახურ „ჟეტისუსთან“ 0:2 წააგო. ყაზახებს რუმინელი, რუსი და სხვა ეროვნების ლეგიონერები ჰყავდათ, ფეროელებმა კი ამ მატჩში პირველად გამოსცადეს ორი ბრაზილიელი — ნახევარმცველი ჟონატასი და ფორვარდი ლეანდრო.

„ჟეტისუსთან“ იმერლებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *ჭანტურია, ს. თოდუა, რ. ონიანი, საჯაია, ხიდეშელი, ვიეირა, გ. ჭელიძე, ქ. ჩხეტიანი, სანტოსი, ნ. კვასხვაძე, იონანიძე.*

*მეორე ტაიმში შევიდნენ: ლეანდრო, ბენაშვილი, ჟონატასი.*

მომდევნო მატჩს „ზესტაფონი“ ხვალ გამართავს — მეტოქე უკრაინული ლვოვის „კარპატი“ იქნება“.

**ლუკა თალაკვაძე**

**ინგლისი**
კონფერენსლიგა. XXX ტური
ოქსფორდი 0:1 რაშდენი

**გერმანია**
მეორე ბუნდესლიგა XIX ტური
კაიზერსლაუტერნი 1:1 კარლსრუე

**იტალია**
სერია B. XXI ტური
ნაპოლი 1:1 ჯენოა
სერია C1/A. XX ტური
სანჯოვანეზე 0:0 ლუკეზე

**საფრანგეთი**
II დივიზიონი. XXII ტური
ლე ავრი 2:0 გენგამი

**ჰოლანდია**
II დივიზიონი. XXV ტური
ვეენდამი 2:0 იგლსი

**პორტუგალია**
სუპერლიგა. XVI ტური
ნასიონალი 3:2 მარიტიმუ

**ამხანაგური მატჩი**
ჰონდურასი 1:1 დანია





# ვან გაალმა ქართულ გოლს ქედი მოუხარა
## შოთა არველაძე: მაკლიში ატმოსფეროს მწვრთნელია

ალექს მაკლიში შოტლანდიის ნაკრების ახალი თავკაცია. წითური შოტლანდიელი ის კაცია, „გლაზგო რეინჯერსში“ ზურაბ ხიზანიშვილთან და შოთა არველაძესთან რომ უმუშავია.

„ხიზანასთან“ მის ურთიერთობას იდეალური ნაღდად არ ეთქმოდა, მაკლიშ-არველაძის თანამშრომლობიდან კი ისიც გვახსენდება, მწვრთნელი ქართველ ბომბარდირს სათამაშო ამპლუას რომ უცვლიდა ხოლმე.

როგორი ფეხბურთი უყვარს მაკლიშს, დაახლოებით რა ტაქტიკას აირჩევს საქართველოს ნაკრებთან, საერთოდაც, რა მოიგო შოტლანდიის ნაკრებმა მაკლიშის გათავკაცებით — შოთა არველაძეს ამაზეც ვესაუბრეთ და, ცხადია, ალკმაარულ ამბებზეც...

— „სპარტასთან“ გუშინწინდელ მატჩში მართლაც ულამაზესი ბურთი გაიტანე. თვლი, რომ ამ სეზონში ეს შენი საუკეთესო გოლი იყო?

— ამ სეზონში ნაღდად საუკეთესო იყო. ეს ყველამ აღიარა და მეც დიდი სიამოვნება მივიღე.

— ლუის ვან გაალი ამ გოლით აღტაცებულია...

— თამაშის შემდეგ მითხრა, ქედს მოვიხრი ამ გოლის წინაშეო. სხვა განსაკუთრებული არაფერი უთქვამს.

— ამასობაში პსვ-მ წააგო და მასთან ქულებში სხვაობა შეამცირეთ. „ალკმაარს“ ჩემპიონობისთვის ბრძოლა რეალურად შეუძლია?

— მომდევნო ტურში პსვ-ს ეინდჰოვენში ვხვდებით და ვნახოთ, რას ვიზამთ. თუ მოვიგებთ, მერე უკვე შეიძლება ჩემპიონობაზე ბრძოლა. ამ ეტაპზე კი პსვ ხელშეუხებელი ფავორიტია.

— ესპანურ „ლევანტეში“ შენს შესაძლო გადასვლაზე ახალი ხომ არაფერია?

— ჯერ არა, საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია.

— ახლა შოტლანდიის ნაკრებში ალექს მაკლიშის გამწვრთნელებაზეც გკითხავ: მას კარგად იცნობ და ზოგადად როგორ დაახასიათებდი?

— გუნდში ატმოსფეროს შექმნა შეუძლია — ეს ყველაზე გამორჩეული შტრიხია მის სამწვრთნელო საქმეში.

— შემტევი ფეხბურთი უყვარს თუ უფრო რაციონალურია?

— როგორც ყველა შოტლანდიელს, შეტევა უყვარს. საერთოდ, მაკლიშს ტაქტიკური ცვლილებები არ უყვარდა, უფრო ატმოსფეროს შემქმნელი მწვრთნელია, ვიდრე დიდი ტაქტიკოსი.

— კი მაგრამ, შენ ზოგჯერ ნახევარდაცვაში გათამაშებდა...

— ნახევარდაცვაში არა, ათ ნომრად მაყენებდა — თავდამსხმელთა უკან.

— უოლტერ სმიტს მშვენიერი შედეგი ჰქონდა და როგორ გგონია, მწვრთნელის შეცვლა უარყოფითად არ იმოქმედებს შოტლანდიელებზე?

— ვერ ვიტყვი, სმიტის წასვლით შოტლანდიამ წააგო თუ მოიგო. სმიტთან არ მიმუშავია და არ ვიცი, რა დონის სპეციალისტია.

**ილია ნანობაშვილი**

# ყენიას ლევანტემდე ოლიმპიკია
## ლოკომოტივი აზერბაიჯანის გზაზე



**ლევან ყენია** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ახლდა თურქულ შეკრებაზე, ამჟამად კი თბილისშია და უახლოეს ათ დღეში აპირებს ესპანურ „ლევანტეში“ წასვლას. გეცოდინებათ, 16 წლის შემტევის ვალენსიაში გადაბარგება მისი არასრულწლოვანობის გამო ფერხდება — მას „ლევანტე“ კონტრაქტს ვერ გაუფორმებს...

„საბუთების პრობლემაა, რაც წესით, მალე უნდა მოგვარდეს. ახლა წელი მაწუხებს, 19-წლამდელთა ნაკრებში თამაშისას ამტკივდა, თუმცა მაქსიმუმ ორ დღეში გამივლის. 2 თებერვალს თბილისის „ლოკომოტივს“ აზერბაიჯანში მივყვები და ერთ ტესტ-მატჩს ვითამაშებ. იქიდან 5 თებერვალს ჩამოვალთ და ალბათ, მალევე წავალ ესპანეთში. იმედია, „ლევანტეში“ რომ ჩავალ, ყველანაირი ფორმალობა მოგვარდება და ახალგაზრდულ გუნდში თამაში შემეძლება“ — გვითხრა ყენიამ, თუმცა არც ისაა გამორიცხული, ლევანი სეზონის ბოლომდე დარჩეს „ლოკომოტივში“.

ამირან მინაშვილის გუნდი აზერბაიჯანში მხოლოდ ერთ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს ბაქოს „ოლიმპიკთან“.

6 თებერვლიდან თბილისელები ურეკში წავლენ შეკრებაზე. რაც შეეხება წამსვლელ-მომსვლელებს, „ლოკომოტივში“ სიახლე არაფერია.

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოგუას პრობლემებს თბილისშიც უქმნიან

## საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი საელჩოში არ შეუშვეს!



საქართველოს ეროვნული გუნდის საყრდენი ნახევარმცველი გოგიტა გოგუა, მისი სატრანსფერო უფლებების მფლობელი ანდრეი ჩერვიჩენკო და ედინბურგის „ჰართსი“ ერთმანეთში ყველაფერზე კი მორიგდნენ, მაგრამ გოგუას ახლა თბილისში შეუქმნეს პრობლემა...

— სამუშაო ვიზა მაქვს ასაღები და დღეს ბრიტანეთის საელჩოში რომ მივედი, ოფისში არ შემიშვეს. საელჩოში რაღაც მქონდა გასარკვევი, მაგრამ ამის ნება არ დამრთეს.

**— ბრიტანეთიდან მოწვევა ალბათ უკვე გაქვს და რაშია პრობლემა?**

— მოწვევაც მოსულია და ყველა საბუთიც წესრიგში მაქვს, მაგრამ კიდევ რაღაც უნდა გამერკვია და ამის საშუალება არ მომცეს. საელჩოს დაცვის თანამშრომელს ვითარება ავუხსენი, მაგრამ არც ამან გაჭრა. 31 იანვარს ედინბურგში უნდა ვიყო, თუ არა და, შესაძლოა, ჩემი ტრანსფერი ჩაიშალოს — სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღე ხომ 31 იანვარია.

**— 30 იანვარს თუ აიღებ სამუშაო ვიზას, ყველაფერი ხომ რიგზე იქნება?**

— ჰო, მაგრამ ხომ შეიძლება, კიდევ რაღაც იყოს გასარკვევი. ისეთი, რასაც ერთი დღე ვერ ეყოფა და მერე რაღა უნდა ვქნა?! აი, ასეთები ვართ ქართველები, ერთმანეთს არ ვუწყობთ ხელს...

**— იმედია, ყველაფერი კარგად დასრულდება — „ჰართსში“ სეზონის ბოლომდე უნდა დარჩე?**

— „ჰართსში“ იჯარით ვიქნები სეზონის ბოლომდე, მერე კი კონტრაქტის გაგრძელებაზე დავილაპარაკებთ, მაგრამ ახლა უკვე ის გამიხდა სანერვიულო, ჩავალ თუ არა 31 იანვარს ედინბურგში.

**დავით თავართქილაძე**

# ქართული გოლი აზერბაიჯანულად

**თურქეთის** საკურორტო ქალაქ ბელეკში მოსამზადებელ შეკრებას გადის გიორგი დემეტრაძის „მეტალურგი“.

დონბასელებმა მორიგი საკონტროლო შეხვედრა გამართეს ევლახის „კარვანთან“, რომლის შემადგენლობაში სამი ქართველი — ლექსო ინწკირველი, გოჩა ტრაპაიძე და რომან ახალკაცი — თამაშობს. მატჩი აზერბაიჯანელთა გამარჯვებით, 2:1 დასრულდა.

ამ შეხვედრაში მხოლოდ ერთმა ქართველმა, აზერბაიჯანის მოქალაქე გოჩა ტრაპაიძემ ითამაშა და გადამწყვეტი გოლითაც გამოირჩა.

როგორც „მეტალურგის“ მწვრთნელმა კო ადრიანსემ თქვა, გუნდი ორ შემადგენლობად გაიყო და დანარჩენ ფეხბურთელებს, მათ შორის, დემეტრაძესაც, თავის გამოჩენა რუსულ „სკა-ენერგიასთან“ დღევანდელ თამაშში მოუწევს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბურდული-გიგიაძე: ცალ-ცალკე

**კრივოი როგის** „კრივბასმა“ მორიგი ტესტ-მატჩი გამართა და ბუქარესტის „ნაციონალთან“ 2:1 გაიმარჯვა.

კრივოიროგელთა შემადგენლობაში პირველი ტაიმი ითამაშა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა ვლადიმერ ბურდულმა.

შესვენებამდე „კრივბასი“ 0:1 აგებდა და ანგარიში სწორედ ბურდულის შემცვლელმა ოპრიამ გაათანაბრა, გამარჯვებისა კი ბიულიუკბაშმა შეაგდო.

„კრივბასის“ კიდევ ერთ ქართველ ლეგიონერს, გუნდის კაპიტან ვასილ გიგიაძეს ტრავმის გამო არ უთამაშია — იგი ინდივიდუალური პროგრამით ემზადება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**




ერთგვარ ტრადიციად იქცა, რომ დავით მუჯირს ყოველ ზამთარს ანთალიაში ვხვდები და „სარბიელისთვის“ ინტერვიუზე ვითანხმებ. ჩვენი ახლანდელი საუბარი გუშინ შუადღისას გაიმართა, მუმუს თბილისში გამომგზავრებამდე ერთი საათით ადრე. არადა, მისი „კრილია სოვეტოვი“ მხოლოდ დღეს ამთავრებს შეკრებას. ინტერვიუს დაწყებაც, ბუნებრივია, შეკრების ერთი დღით ადრე დასრულების მიზეზზე მსურდა, თუმცა სატელეფონო ზარმა არასაფეხბურთო თემით დაგვაწყებინა — მუმუს თბილისიდან დაურეკეს და უთხრეს, რომ მანქანაზე სარკეები ისევ მოჰპარეს...

# მუჯირი სამშობლოში ბაცაცებმა ჩამოიყვანეს

## ქართველებო, ნუ ჩაიხედავთ სხვის სარკეში და აიხდინეთ თქვენი ოცნება!

— აქამდე მხოლოდ სარკეებს მპარავდნენ, ახლა ბუდიანად მოუპარავთ...

**— ახლახან მოპარული სარკეებით მოვაჭრეები დაიჭირეს...**

— აბა, რა ვიცი, მე მაინც მომპარეს და...

**— დათო, ჩვენი ბოლო შეხვედრიდან ზუსტად ერთი წელი გავიდა. მაშინ ანთალიაში ავსტრიულ „შტურმთან“ ერთად იყავი ჩამოსული, ახლა „კრილიაში“ ხარ. მოდი, ამ ერთ წელიწადში შენს კარიერაში მომხდარი ცვლილებები გავიხსენოთ...**

— მახსოვს ჩვენი მაშინდელი საუბარი. მაშინაც გითხარი, რომ „შტურმში“ სერიოზული ფინანსური პრობლემები იყო, შესაბამისად, გუნდს ამბიციაც მოაკლდა და ახალ გუნდში გადასვლაზე ვფიქრობდი. „კრილიასგან“ ჩემით დაინტერესება სწორედ იმ შეკრებიდან წამოვიდა. თუ გახსოვს, შარშან ერთი ამხანაგური მატჩი „დორტმუნდის“ ახალგაზრდულ გუნდთან ჩავატარეთ. სამარელთა მაშინდელი მწვრთნელი გაჯიევი იმ თამაშს დაესწრო და სასტუმროში დაბრუნების მერე მესაუბრა. „კრილიასთან“ პირველი კონტაქტიც იმ ერთი საუბრით დამთავრდა. ავსტრიაში დავბრუნდი და ერთი ტური ვითამაშე. იმ პირველი საუბრიდან ორი თუ სამი კვირის მერე კი „კრილიადან“ დამირეკეს და ჩვენს შორის უკვე საფუძვლიანი მოლაპარაკება დაიწყო. „შტურმთან“ კონტრაქტის ვადა ზაფხულში მიმთავრდებოდა, მაგრამ რაკი სერიოზული გუნდისგან შემოთავაზება მივიღე, გადავწყვიტე, აღარ მომეცადა და 1 მარტს სამარელებთან მოვაწერე კონტრაქტს ხელი.

**— ანუ რუსული პრემიერლიგის დაწყებამდე ხუთიოდ დღით ადრე...**

— კონტრაქტი 1 მარტს კი გავაფორმე, მაგრამ სამარაში 4 მარტს ჩავედი. ჩემპიონატის პირველ ტურში სათამაშოდ ისე გავედი, ახალ გუნდთან ერთხელაც არ მევარჯიშა. პირველ ტურში სულ ხუთი წუთი ვითამაშე. მეორე ტურში მწვრთნელმა მითხრა, უფრო მეტ ხანს გათამაშებო, მაგრამ იმ მატჩში ფეხბურთელი გაგვიძევეს და გაჯიევმაც შეცვლაზე ჩემი ამპლუის მოთამაშის შეყვანა მიზანშეწონილად აღარ ჩათვალა. სამაგიეროდ, მესამე ტურში სასტარტოში მათამაშა და მას მერე მუდმივად ძირითადში ვიყავი.

**— როგორც ვიცი, გულშემატკივარმაც მალევე შეგიყვარა...**

— სამარა გრაცზე ბევრად დიდი ქალაქია და იქ რომ მივდიოდი, ვფიქრობდი, დიდ ქალაქში ხალხის ფეხბურთისადმი და გუნდისადმი დამოკიდებულება განსხვავებული იქნებოდა. ბუნებრივია, პატარა ქალაქში უფრო უნდა იგრძნობოდეს გუნდისადმი და ფეხბურთელებისადმი ხალხის სიყვარული. ამიტომ ძალიან გამიხარდა, როცა ვნახე, სამარაშიც ძალიან ერთგული გულშემატკივრები იყვნენ და მათგან უზარმაზარი მხარდაჭერა პირველივე დღიდანვე ვიგრძენი. მოგვიანებით, საქართველოს და რუსეთს შორის ურთიერთობა რომ დაიძაბა, ჩემ მიმართ დამოკიდებულება არც ამას შეუცვლია.

**— რუსულ პრესაშიც დიდი სიმპათია იგრძნობა შენ მიმართ...**

— ავსტრიაშიც ასე იყო, უბრალოდ, საქართველოში რუსული გაზეთები უფრო ხელმისაწვდომია და რუსეთის ჩემპიონატის ნახვის საშუალებაც არის, თორემ მე ვთვლი, რომ ავსტრიაში ორი ისეთი სეზონი მქონდა, როცა გაცილებით უკეთესად ვითამაშე, ვიდრე ახლა, რუსეთის ჩემპიონატში. ალბათ სწორედ იმავე მიზეზით, რომ ავსტრიის ჩემპიონატს საქართველოში თვალს ვერ ადევნებენ და ინფორმაციაც ნაკლებია, ნაკრების მწვრთნელები მაშინ ნაკლებ ყურადღებას მაქცევდნენ.

**— ნაკრები ახსენე და, თურქეთთან ამხანაგური მატჩი ახლოვდება...**

— „კრილიას“ შეკრებიდან ერთი დღით ადრე ამიტომაც მივდივარ, ასე უფრო მოსახერხებელია — გუნდი სამარაში ბრუნდება, მე კი თბილისში ჩავდივარ. თურქეთთან თამაშის მერე კი „კრილიას“ კვიპროსულ შეკრებაზე შევუერთდები.

**— ნაკრების თემას მოგვიანებით მივუბრუნდეთ. იქამდე ოჯახზეც მინდა გკითხო — სამარაში შენთან ერთად არიან?**

— სამწუხაროდ, არა. ავსტრიაში მეუღლე და შვილები წაყვანილი მყავდა. ბავშვები გერმანულ სკოლაში დადიოდნენ, სამარაში კი არც გერმანული სკოლაა და არც ქართული. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ უმჯობესი იქნებოდა, ბავშვები თბილისში ყოფილიყვნენ. თანაც ნოემბრიდან თებერვლის ჩათვლით შვებულება და შეკრებები მაქვს. ამ ოთხი თვის განმავლობაში სამარაში, ფაქტობრივად, საერთოდ არ ვარ. ოჯახისგან მოშორებით ყოფნა ძალიან ძნელია, მაგრამ ჩემს პროფესიაში სხვანაირად არ გამოდის.

**— ერთი წელია, საქართველოს ნაკრებს კლაუს ტოპმიოლერი წვრთნის. ცვლილებებს თუ გრძნობ?**

— რა თქმა უნდა. ნაკრებმა დიდ ნაბიჯი გადადგა წინ. შედეგი ჯერ არ ჩანს, მაგრამ გავიხსენოთ, ვისთან წავაგეთ: მსოფლიოს ჩემპიონთან, ფინალისტთან, მესამეადგილოსანთან, მეოთხედფინალისტთან... რეალისტები ვიყოთ — ამ გუნდებთან გამარჯვება ახლა სენსაცია უფრო იქნებოდა, ვიდრე კანონზომიერება. მაგრამ დარწმუნებული ვარ, შედეგსაც მივაღწევთ. ხომ იცი, ყველა ჯარისკაცი გენერლობაზე უნდა ოცნებობდეს და მჯერა, ამ ოცნებას ჩვენც ავისრულებთ.

**— ნაკრების ძირითად ბირთვს შენი თაობის ფეხბურთელები შეადგენთ. რამდენად პერსპექტიულები არიან ახალგაზრდები?**

— მე ფეხბურთელებს ახალგაზრდებად და ასაკიანებად კი არა, კარგ და ცუდ ფეხბურთელებად დავყოფდი. საქართველოში არიან სხვადასხვა თაობის ფეხბურთელები, რომლებსაც ნაკრებისთვის წარმატების მოტანა შეუძლიათ.

**— მაგრამ, ვთქვათ, ამდენი წელია, შოთა არველაძეს კონკურენტი ვერ გამოუჩნდა...**

— კონკურენცია აუცილებელია და, დარწმუნებული ვარ, ყველაზე მეტად ისევ შოთას გაუხარდება, კონკურენტი თუ ეყოლება. ეს აუცილებელიც არის, თაობათა ცვლა ხომ ადრე თუ გვიან უნდა მოხდეს.

**— რა გაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ახალგაზრდა თაობის ფეხბურთელები თქვენთვის კონკურენციის გაწევას შეძლებენ და ნაკრებს წარმატებას მოუტანენ?**

— პირველ რიგში ის, რომ საქართველოს ჩემპიონატში გაიზარდა კონკურენცია და ჩემპიონატი უფრო დაძაბული გახდა. მიხარია, რომ შეიქმნა რამდენიმე ახალი და ამბიციური კლუბი. აი, „ამერმა“ საქართველოს თასი მოიგო, „ოლიმპი“ ჩემპიონატში პირველ ადგილზეა. ეს გუნდები სერიოზულ კონკურენციას უწევენ, ასე ვთქვათ, ტრადიციულ კლუბებს. აბა, მე რომ ვთამაშობდი „დინამოში“, რვა ტურით ადრე ვინაღდებდით ჩემპიონობას და ერთადერთი საზრუნავი ისღა გვქონდა, 26 მაისამდე, თასის ფინალამდე, უკვე ჩემპიონებს როგორმე ფორმა შეგვენარჩუნებინა.

**გიორგი დარჯანია**
**ანთალიიდან**



გერმანული „ფრაიბურგის“ ქართველი ლეგიონერის ოთარ ხიზანეიშვილის მიერ „ესენის“ კარში გატანილი გოლი მისთვის პირველი გამოდგა მიმდინარე სეზონში. ოთარი თამაშში 68-ე წუთზე ჩაერთო და სამ წუთში უმნიშვნელოვანესი გოლით გამოირჩა — ალექსანდრე იაშვილთან გათამაშებული ჯარიმიდან შეაგდო ბურთი. სხვათა შორის, ხიზანეიშვილმა საჯარიმო დარტყმით გამოიჩინა თავი მოსამზადებელ შეკრებაზეც. ოთარს გუშინ გერმანიაში შევეხმიანეთ...

# საყვედური არ გვეთქმის, მაგრამ კი გვიკვირს

## ხიზანეიშვილი ძირითადს გოლებით ეჩვევა

— პირველი საამსეზონო გოლი ალბათ სტიმულს შეგმატებს...

— რა თქმა უნდა, სასიხარულოა, რომ ჩემი გოლით დავწინაურდით და მერე უფრო თავისუფლად ავთამაშდით. მეორეც მალევე გავიტანეთ და თამაშის ბედიც გადავწყვიტეთ.

— თუმცა რატომღაც ფოლკერ ფინკე ბოლომდე მაინც არ გენდობა და მხოლოდ შეცვლაზე გათამაშებს...

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რატომ მექცევა ასე. საკმაოდ კარგ ფორმაში ვარ და ნორმალურად ვთამაშობ. ურიგოდ არც საკონტროლო მატჩები ჩამიტარებია. შეიძლება, უთამაშებელი რომ ვიყავი, ნელ-ნელა მაჩვევს და ალბათ მალე ძირითადშიც დამაბრუნებს.

— მეორე წრე კარგად დაიწყეთ. ზედიზედ მეორედ გაიმარჯვეთ...

— წლეულს კარგი შანსი გვქონდა ბუნდესლიგაში გადასასვლელად, მაგრამ დასანანი ქულები დავკარგეთ, თუმც ხელი ჯერ არ ჩაგვიქნევია. მომავალ ტურში „უნტერჰახინგს“ სტუმრად ვეთამაშებით და თუ მოვიგეთ, შანსი ისევ გაგვიჩნდება.

— ურიგოდ არც ალექსანდრე იაშვილი თამაშობს — გოლები ბევრი ვერ გააქვს, მაგრამ საგოლე პასებს აკეთებს ბლომად...

— ასეა. წინა ტურში „ჰანზასთან“ ერთადერთი გოლი მისი პასით გავიდა, „ესენთან“ კი ორი საგოლე გადაცემა გააკეთა. „იაშკა“ ერთ-ერთი საუკეთესოა „ფრაიბურგში“.

— თუმცა თურქეთთან ამხანაგური თამაშისთვის ნაკრებში არც ერთი ხართ გამოძახებული...

— ეს მართლაც მიკვირს. შესაძლოა, მე სათამაშო პრაქტიკა მაკლია და იმიტომ არ გამომიძახეს, მაგრამ „იაშკა“ ძალიან კარგ ფორმაშია.

— თუ გეხმიანებიან ნაკრების მწვრთნელები?

— ამ მხრივ, საყვედური არ მეთქმის. ხან კლაუს ტოპმიოლერი მიკავშირდება, ხანაც რალფ მინგე. ხშირად კითხულობენ ჩვენს ამბებს.

— ერთიც: „ფრაიბურგში“ ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი დავით თარგამაძე ისინჯებოდა...

— ასაკის კვალობაზე ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია და რამდენადაც ვიცი, ის ისევ უნდა ჩამოვიდეს ფრაიბურგში.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | პარმა 1:0 | 0 | | 6 | 1 | 9 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | აინტრახტი 3:1 | 70 | შეცვალეს | 16 | 3 | 2 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ესენი 3:1 | 90 | 2 საგოლე პასი | 17 | 2 | 10 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | ესენი 3:1 | 22 | შეცვლაზე ითამაშა, 1გოლი | 6 | 1 | 10 |
| დავით სირაძე | აუე | შ | ჰანზა 3:0 | 5 | შეცვლაზე ითამაშა | 17 | 2 | 4 |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი | ს | ოფენბახი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 7 |
| მიხეილ აშვეთია | კარლ ცაისი | ს | ბრაუნშვაიგი 0:1 | 0 | | 0 | 0 | 16 |
| **ინგლისი. ასოციაციის თასი** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლეკბერნი | ს | ლუთონი 4:0 | 79 | გააფრთხილეს, შეცვალეს | | | |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | შ | სპარტა 3:0 | 71 | 1 გოლი, შეცვალეს | 14 | 8 | 3 |
| **საბერძნეთი. ნაციონალური ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი | ს | პანათინაიკოსი 0:2 | 0 | | 8 | 0 | 11 |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | კალამარია 0:0 | 90 | | 11 | 0 | 13 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ორი პასი და ორიანი

## კიკერმა ალექსანდრე იაშვილი საუკეთესოდ დაასახელა

**გერმანიის** მეორე ბუნდესლიგის მორიგ ტურში „ფრაიბურგმა“ შინ 3:1 დაამარცხა „ესენი“ და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა.

„ფრაის“ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა ფეხბურთელებმა — ალექსანდრე იაშვილმა და ოთარ ხიზანეიშვილმა. ოთარი გოლით გამოირჩა, იაშკამ კი ორი საგოლე პასი გააკეთა და „კიკერმა“ მისი თამაში ორიანით შეაფასა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ამასთან იაშვილი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს.

— მთელმა გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა. ეს ორი ტურია, ჩვენი თავი ვიპოვეთ. პირველ წრეში ლიდერებს ტოლს არ ვუდებდით, აუტსაიდერებთან კი რაღაც გვემართებოდა და ქულებს ვკარგავდით. ბუნდესლიგაში გადასვლის შანსი კიდევ გვაქვს, მთავარია, ახლა აკრეფილი ტემპი შევინარჩუნოთ და მომდევნო თამაშები მოვიგოთ — გვითხრა გუშინ იაშვილმა.




შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში იაშვილმა 17 თამაში ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა. მართალია, ჩვენიანი გოლების რაოდენობით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ 8 საგოლე პასით მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთი ლიდერია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მაშველები

## აშვეთიას და ლომაიას იენაში მასწავლებელი დახვდებათ

**იენის** „კარლ ცაისმა“ მეორე ბუნდესლიგის ბოლოადგილოსან „ბრაუნშვაიგთან“ 0:1 წააგო და კიდევ უფრო გაირთულა საქმე.

ამ ამბავს იენურ კლუბში დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა და სამეთვალყურეო საბჭოს საგანგებო კრებაც კი გაიმართა.

კლუბის პრეზიდენტი რაინერ ციპფელი გაწბილებული დარჩა გუნდის თამაშით, თუმცა ოფიციალურად განაცხადა, რომ მთავარ მწვრთნელ ჰაიკო ვებერს მოხსნა არ ემუქრება.

გეცოდინებათ, სავიზო პრობლემების გამო ამ მატჩში არ უთამაშია იენელთა ქართველ ახალწვეულ მიხეილ აშვეთიას, რომელიც ორი-სამი დღით თბილისში იყო ჩამოსული.

ციპფელმა ესეც ახსენა და დაამატა, რომ აშვეთიასთან ერთად საქართველოს ნაკრების კიდევ ერთ წევრს, მეკარე გიორგი ლომაიას ელის.

იენური გაზეთისთვის მიცემულ კომენტარში ციპფელმა განაცხადა, რომ ლომაიას დიდი იმედი აქვს, რამეთუ „კარლ ცაისის“ მეკარე კრისტიან პერსონი ძალიან არადამაჯერებლად თამაშობს.

„ლომაია 27 წლისაა, საქართველოს ნაკრების მეკარეა და ბოლოს ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიაში“ თამაშობდა. ის აშვეთიასთან ერთად დღე-დღეზე ჩამოვა იენაში“ — წერენ გერმანელები, რომლებიც ქართველთა პრობლემასაც არ ივიწყებენ — „მათ გერმანული არ იციან, თუმცა იენელები ამაზე საერთოდ არ ნერვიულობენ. კლუბის პრეზიდენტის თქმით, აშვეთიას და ლომაიას გერმანული ენის მასწავლებელს მიუჩენენ და საერთო ძალისხმევით, ყველაფერი კარგად იქნება“.



მიხეილ აშვეთია

„ასეთი მატჩების წაგება არ შეიძლება!“ — ამბობს რაინერ ციპფელი და ამართლებს მწვრთნელს, რომელმაც „ბრაუნშვაიგთან“ წაგების მერე ტელევიზიასთან კონტრაქტით სავალდებულო ინტერვიუც კი ჩაშალა — „მე მესმის მისი. ჰაიკოს იმ მომენტში ლაპარაკი არ შეეძლო“.

და ისევ ქართველები: გერმანელი ჟურნალისტების ცნობით, საათებიც და, საბოლოოდ გაირკვევა ლომაიას საკითხი. იენელებს დიდი იმედი აქვთ, რომ ლომაიას დაიმატებენ, თუმც სათადარიგო ვარიანტიც შეუგულებიათ — „ბოხუმის“ მეკარე პეტერ სკოვ-იენსენი.

...მაგრამ ის ხომ 35 წლისაა — ამბობენ გერმანელები და ქართულ დუეტს „კარლ ცაისის“ მაშველებს ეძახიან...

**კახა შალამბერიძე**



გიორგი ციმაკურიძე (№9) ალჩევსკიდან აიბარგა

# მესამე ქართველი ზაპოროჟიეში

## ციმაკურიძე მოდებაძესთან და კვირკველიასთან

22 წლის გიორგი ციმაკურიძე არა ალჩევსკის „სტალში“, არამედ, ზაპოროჟიეს „მეტალურგშია“ და გუშინწინ ბაქოს „ნეფთჩისთან“ ამხანაგურ მატჩში (2:0) ითამაშა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მცველი „სტალში“ სათამაშო დროს არ უჩიოდა, უმეტესად ძირითადში იყო, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, პირველი წრის მერე კლუბმა ტრანსფერზე დააყენა.

ციმაკურიძემ და „მეტალურგის“ ლიდერმა დავით კვირკველიამ „ნეფთჩისთან“ პირველი ტაიმი სრულად ჩაატარეს, შესვენების შემდეგ კი მწვრთნელმა მეორე შემადგენლობა გაიყვანა მინდორზე.

სავარაუდოდ, ზაპოროჟიელები გიორგის მალე გაუფორმებენ კონტრაქტს.

რაც შეეხება კიდევ ერთ მეტალურგ ირაკლი მოდებაძეს, იგი ჯერ ბოლომდე არ მომჯობინებულა ტრავმის შემდეგ და „ნეფთჩისთანაც“ ამიტომ ვერ ითამაშა.

**ილია ნანობაშვილი**

# გვაზავა ძირითადშიც გამოჩნდა

**მორიგი** საკონტროლო მატჩი გამართა სამარის „კრილია სოვეტოვმა“. სამარელები ამჯერად ყაზახურ „ირტიშს“ გაეჯიბრნენ და 1:0 დაამარცხეს. დავით მუჯირს ისევ არ უთამაშია, ლევან გვაზავა კი უკვე ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა. ქართველმა მოედანზე 65 წუთი დაყო, მისი „კრილიაში“ დარჩენის საკითხი კი ჯერ არ გადაწყვეტილა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

# ბესტთან ბესტი

## გათამაშებული როლი და არტისტიზმი

*ეს ახლაა, შეჩვეულები რომ ვართ იმას, კახა კალაძე თუ ზურაბ ხიზანიშვილი სახელდავდებულ ფორვარდებს არცთუ იშვიათად რომ უსწორდებიან, მაგრამ ადრე, ვთქვათ, 60-70-იან წლებში ქართველი მცველი ვარსკვლავის მეურვეობას თავს რომ გაართმევდა, ის სულ სხვა იყო, სულ სხვა სიამაყეს აღვივებდა და ასეთი ამბავი ლეგენდებად იქცეოდა.*

*ძოძუაშვილმა ბესტი დაიჭირა, ძოძუაშვილმა ჯაირს ფეხი არ გაანძრევინა — ახლანდელ თაობას ის თამაშები არ უნახავს, მაგრამ ის ამბები გაუგონია, თუ რა საქმეებს ახდენდნენ საბჭოთა ნაკრებში მოთამაშე ქართველები და თუ რა იყო ქართველი გულშემატკივრებისთვის ქართველი ფეხბურთელის წარმატება ესესერის ნაკრებში.*

*რევაზ ძოძუაშვილი ახლა რუსთავის „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელია და, ვფიქრობთ, ნებისმიერი თაობისთვის საინტერესო იქნება მისი ნაუბარი ძოძუაშვილ-ბესტის დაპირისპირებაზე...*

***დავით თავართქილაძე***





მაშინ სხვა დრო, ბევრ რაღაცაზე ხელი არ მოგვიწვდებოდა, ჯორჯ ბესტი და „ბითლზი“ ჩვენთვის რაღაცნაირი, ჩაკეტილი სამყაროდან დანახული იყო...

...როცა გაირკვა, რომ 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ჩვენი მეტოქე ჩრდილოეთ ირლანდია იქნებოდა, ერთი ფირი გვიშოვეს: ინგლისი — ჩრდილოეთ ირლანდიის მატჩი, ბესტის ერთ-ერთი საუკეთესო თამაში...

1969 წელს საბჭოთა ნაკრებს გავრილ კაჩალინი წვრთნიდა. თუ ჩრდილოირლანდიელებს მოვუგებთ, შესარჩევ ეტაპს აუცილებლად დავძლევთ — ასე იდგა საკითხი. ჩრდილოეთ ირლანდიის დამარცხებისთვის კი ბესტის განეიტრალება იყო საჭირო.

ბესტი ფლანგზე მოთამაშე მცველს უნდა ამოეკეტა — ასე მიიჩნია კაჩალინმა. ბესტის მეურვის ადგილზე თავიდან თორმეტი კანდიდატი იყო...

...ამ თამაშისთვის მზადება ხუთი თვით ადრე დაიწყო. ამხანაგურ მატჩებში თანდათან იცხრილებოდა თორმეტკაციანი სია. ბოლოს დავრჩით მე, პონომარიოვი, ისტომინი, ლოგოფეტი, ზიკოვი, ლოვჩევი და აფონინი — ბესტის მეურვე ისეთი ფლანგელი მცველი უნდა ყოფილიყო, „პერსონალკაც“ რომ შეეძლო...

ბრიტანელებთან თამაშის წინ ბოლო საკონტროლო მატჩი პოლონეთის ნაკრებთან გვქონდა. ეს გენერალური რეპეტიცია იყო, ანუ ვინც ითამაშებდა პოლონეთთან, ის ითამაშებდა ჩრდილოირლანდიელებთანაც. მე კი პოლონეთთან მატჩის სასტარტო შემადგენლობაში ვერ მოვხვდი, სათადარიგო ვიყავი. პოლონელთა საუკეთესო შემტევს, მეთერთმეტე ნომერს, აფონინი მიუჩინეს, ვისაც ორი წლის წინ ბრაზილიაში პელესთან ეთამაშა და ჩათვალეს, დიდი ფეხბურთელის წინააღმდეგ თამაშის გამოცდილება აქვს და ბესტთანაც მან უნდა ითამაშოსო. მოკლედ, დაცვის მარჯვენა ფლანგზე პოლონეთთან აფონინი გაამწესეს, მარცხნივ კი ლოვჩევი...

პირველი ტაიმი ისეთი გამოდგა, აფონინი ნორმალურად თამაშობდა, ლოვჩევმა კი ვერ ითამაშა კარგად და კაჩალინმა მითხრა, მეორე ტაიმში მის ნაცვლად შენ ითამაშებო. ჰოდა, შევდივარ გასახდელში და, ვფიქრობ, თუ ახლა ვერ დავამტკიცე, რომ საუკეთესო ვარ, ჩრდილოეთ ირლანდიასთან არ მათამაშებენ. იმასაც ვგრძნობდი, რომ ბელფასტში თამაშისთვის ზოგი ჩვენი ფეხბურთელი ფსიქოლოგიურად ვერ იყო მზად, უბრალოდ რომ ვთქვათ, შიში იგრძნობოდა...

მოკლედ, გავდივარ მეორე ტაიმში მოედანზე და აფონინს ვეუბნები, შენს პოზიციაზე მე უნდა ვითამაშო, კაჩალინმა ასე თქვა-მეთქი. როლი გავითამაშე და ყველაფერი კარგადაც გამომივიდა. დავდექი მარჯვენა ფლანგზე და 11 ნომერი ისე ამოვკეტე, შეცვალეს. არტისტიზმიც ჩავრთე საქმეში, წინ წასვლას და კაცის მოტყუებას არ ვერიდებოდი. კაჩალინი თითს მიქნევდა, მაგრამ ჩემმა თამაშმა და არტისტიზმმა ისე გაამართლა, ხალხი ტაშს მიკრავდა, მე კი სიმწრის ოფლი მასხამდა — რადაც უნდა დამჯდომოდა, უნდა დამემტკიცებინა, რომ საუკეთესო ვიყავი.

ბელფასტში გამგზავრების წინა საღამოს კაჩალინმა თავისთან მიხმო და მითხრა, მე და მწვრთნელთა საბჭომ გადავწყვიტეთ, რომ ბესტის წინააღმდეგ შენ ითამაშებ, მაგრამ თუ თამაშს ჩააგდებ, ნაკრების მაისურას ველარ ეღირსებიო. ვუპასუხე, მათამაშეთ და ბესტს დედას ვუტირებ-მეთქი. გამოთქმებს დაუკვირდიო, მითხრა კაჩალინმა და გავიდა...

...ახლა, როგორც მწვრთნელი, ისე ვუკვირდები ყველაფერს და შეიძლება ითქვას, რომ კაჩალინი იყო პირველი საბჭოთა მწვრთნელებს შორის, ფსიქოლოგიას დიდ ყურადღებას რომ აქცევდა — ბელფასტის მატჩისთვის დოპინგმიღებულივით ვიყავი, უკვე ისეთი სიტუაცია იყო, თუ სპორტსმენი იყავი, ტყვია მიზანში უნდა გესროლა...

...ფსიქოლოგია ერთია და, იყო სხვა ფაქტორებიც. ბესტის თამაშის ფირს ვუყურე, ის ძალიან ტექნიკური იყო, იმპროვიზაციის დიდი უნარი ჰქონდა, მაგრამ სისწრაფეში მე ვერ მაჯობებდა და ეს უნდა გამომეყენებინა.

კიდევ ის, რომ მე უმაღლესი კლასის ფორვარდებთან თამაშის კარგი სკოლა მქონდა გავლილი. თუნდაც ის რად ღირს, რომ სლავა მეტრეველთან და მიშა მესხთან ვვარჯიშობდი „დინამოში“ და ამ ორი გენიოსისთვის ამირთმევია ბურთი ვარჯიშებზე. ბესტი კი ვერ იყო იმ დონის ფეხბურთელი, მიშა და სლავა რომ იყვნენ...

...და დაიწყო მატჩი ბელფასტში. პირველ წუთზე ბესტი ჩემთან ორთაბრძოლაში არტისტულად წაიქცა და მსაჯმა ჯარიმა დანიშნა. ამის შემდეგ ბესტის წინააღმდეგ ერთხელაც არ დავჯარიმებულვარ იმ მატჩში, მას ყველგან დავყვებოდი და, შეიძლება ითქვას, ბესტმა ღირებული ვერაფერი შექმნა. შეხვედრა 0:0 დასრულდა. ჩრდილოეთ ირლანდიასთან მეორე მატჩი მოსკოვში 2:0 მოვიგეთ, ბესტი მოსკოვში არ ჩამოსულა, პირველი ბურთი კი ჩვენგან გივი ნოდიამ გაიტანა...

...საბჭოთა კავშირი და ჩრდილოეთ ირლანდია 1972 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევშიც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ბესტი მაშინ ჩამოვიდა მოსკოვში, მაშინაც მე ვმეურვეობდი და მაშინაც კარგად ამოვკეტე. ბელფასტში კი მას არ უთამაშია, ის თამაშიც 0:0 დასრულდა...

თუმცა, ისეც არ ყოფილა, რომ ყოველთვის წარმატებით ვართმევდი თავს ვარსკვლავების მეურვეობას. 1970 წელს ბელგრადში იუგოსლავიის ნაკრებს ვეთამაშეთ ამხანაგურ მატჩში. დრაგან ჯაიჩი უნდა ამომეკეტა და ბესტთან წარმატების შემდეგ, ცოტა არ იყოს, ცხვირაწეული ვიყავი.

ჯაიჩი ცაცია იყო, ჩინებული ფინტები გამოსდიოდა და ჯანმაგარიც გახლდათ. მან პირველ რიგში სწორედ მეტი ჯანის ხარჯზე დამჯაბნა. მე და კიდევ სამი კაცი გაგვაბითურა და გოლი ისე შეგვიგდო. ისეთი ოცწუთიანი მონაკვეთი ჰქონდა, სასაცილო სიტუაციაში აღმოვჩნდი, მოკრივე რომ კუთხეში მოამწყვდევს მეტოქეს, ისე ვიყავი, სადაცაა თეთრ პირსახოცს ვისროდი, როცა კახი ასათიანმა ღიდებული რეიდი შეასრულა და ანგარიში გაათანაბრა, მერე ნოდიამ გაიტანა, ბოლოს ანატოლი ბიშოვეცმა და 3:1 მოვიგეთ. თუმცა მე ბოლო ოცი წუთი არ მითამაშია, „სუდოროგები“ დამემართა...

...ჯაიჩთან კიდევ მომიწევდა თამაში და საკუთარ თავზე საგანგებოდ დავიწყე მუშაობა. დიდი ყურადღება დავუთმე ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას და ამ ყველაფერმა შედეგი გამოიღო — მას კიდევ ორ-ორჯერ შევხვდი ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევებში და ამ დუელში გამარჯვებული უკვე მე გამოვდიოდი.

## სერია A-ს ზამთრის ტრანსფერები 2007

**ინტერი**
წავიდნენ: სეზარი (ლივორნო)
მოვიდნენ: არავინ

**რომა**
წავიდნენ: მონტელა (ფულემი, ინგლისი), ძოტი (სამპდორია)
მოვიდნენ: ტავანო (ვალენსია, ესპანეთი), ვილჰელმსონი (ნანტი, საფრანგეთი)

**პალერმო**
წავიდნენ: არავინ
მოვიდნენ: კავანი (დანუბიო, ურუგვაი)

**ლაციო**
წავიდნენ: ოდო (მილანი), ფოჯა (რეჯინა)
მოვიდნენ: ლ. ხიმენესი (ტერნანა)

**კატანია**
წავიდნენ: ანასტაზი (ჩეზენა), დანუჩი (ჩეზენა), დელ კორე (ჩეზენა), პოლიტო (პესკარა), ნარდინი (რეჯინა)
მოვიდნენ: სპადავეკია (პესკარა), ბიაჯანტი (პრო ვასტო)

**ემპოლი**
წავიდნენ: არავინ
მოვიდნენ: არავინ

**უდინეზე**
წავიდნენ: შუმახერი (მურსია, ესპანეთი), აგილარი (ხერესი, ესპანეთი), პაოლეტი (მესინა)
მოვიდნენ: კაზაცა (პავია), ლუკოვიჩი (ასკოლი), შივოკი (სპარტა, ჩეხეთი)

**ატალანტა**
წავიდნენ: მაგრინი (პრო ვერჩელი), სონჩინი (ასკოლი), ჩენტი (ასკოლი)
მოვიდნენ: არავინ

**მილანი**
წავიდნენ: არავინ
მოვიდნენ: გრიმი (რასინგი, არგენტინა), სტორარი (მესინა), ოდო (ლაციო), რონალდო (რეალი, ესპანეთი)

**სამპდორია**
წავიდნენ: ფოტი (ვიჩენცა), ბონანი (ასკოლი)
მოვიდნენ: ძოტი (რომა)

**სიენა**
წავიდნენ: პავარინი (ლეჩე), მაზიელო (ჯენოა), ზაიჩი (მარიბორი, სლოვენია), ბოგდანი (კიევო), დავერსა (მესინა), კანდელა (მესინა)
მოვიდნენ: იაკოლა (ტპ-47, ფინეთი), ბენუსი (ლეჩე)

**ლივორნო**
წავიდნენ: არჯილი (ფროზინონე), ჯალლომბარდო (მესინა), დანილევიჩუსი (ბოლონია), ვიჯანი (რეჯინა), სეზარ პრატესი (კიევო), ბაკაიოკო (მესინა)
მოვიდნენ: კ. კოპოლა (მესინა), ბერგვოლდი (კოპენჰაგენი, დანია), სეზარი (ინტერი)

**ფიორენტინა**
წავიდნენ: ლობონტი (დინამო, რუმინეთი)
მოვიდნენ: არავინ

**კალიარი**
წავიდნენ: არავინ
მოვიდნენ: მარკინი (ტრიესტინა)

**ტორინო**
წავიდნენ: ფერარეზე (ვერონა), დუდუ (ჩეზენა), ორფეი (სალერნიტანა), მელარა (ასკოლი)
მოვიდნენ: არავინ

**კიევო**
წავიდნენ: გოდეაში (მანტოვა), გარცონი (აველინო), მარკეზეტი (ტრიესტინა), ტირიბოკი (ლეჩე), ძანკეტა (ლეჩე)
მოვიდნენ: იტალიანო (ვერონა), ბოგდანი (სიენა), სეზარ პრატესი (ლივორნო)

**რეჯინა**
წავიდნენ: კარობიო (ჯენოა), ლეონი (ჯენოა)
მოვიდნენ: ვიჯანი (ლივორნო), ფოჯა (ლაციო), ნარდინი (კატანია)

**მესინა**
წავიდნენ: სტორარი (მილანი), სულო (აველინო), კ. კოპოლა (მესინა)
მოვიდნენ: პესტრინი (ჩეზენა), ჯალლომბარდო (ლივორნო), პაოლეტი (უდინეზე), დავერსა (სიენა), კანდელა (სიენა), ბაკაიოკო (ლივორნო)

**პარმა**
წავიდნენ: დედიჩი (ფროზინონე)
მოვიდნენ: პერნა (მოდენა), ჯ. როსი (მანჩესტერი, ინგლისი)

**ასკოლი**
წავიდნენ: ლუკოვიჩი (უდინეზე), შკელა (კოტბუსი, გერმანია), ბოკეტი (ფროზინონე), კუდინი (ვიჩენცა)
მოვიდნენ: დი ბიაჯო (თავისუფალი აგენტი), მელარა (ტორინო), ბონანი (სამპდორია), სონჩინი (ატალანტა), ჩენტი (ატალანტა)

# არ გავცვლი მე ჩემს რონალდუს...



**სატრანსფერო** ფანჯარა ხვალ ღამით იხურება და „მანჩესტერ იუნაიტედს“ ერთი საქმის მოსწრება სურს: „საუთჰემპტონის“ 17 წლის ვუნდერკინდ გარეტ ბეილს ევაჭრება.

კვირა საღამოს „მანიუს“ მწვრთნელები კარლუშ კეიროში და მაიკ ფილანი „საუთჰემპტონ“-„სიტის“ სათაო თამაშსაც კი დაესწრნენ და ბიჭს კიდევ ერთხელ უყურეს.

თავიდან „მანჩესტერი“ 8 მილიონ გირვანქას სთავაზობდა სამხრეთელებს, მაგრამ მერე „ტოტენჰემმა“ გამოაცხადა, 10-ის გამღები ვარო.

„მანჩესტერმა“ მოლაპარაკებები ხმაურის გარეშე გააგრძელა, თუმცა „საუთჰემპტონის“ ბოსი ჯორჯ ბარლი აცხადებს, რომ ბიჭი სეზონის ბოლომდე მაინც დარჩება მათთან. ამასობაში კი თავად „მანჩესტერი“ უარს ეტყვის მადრიდის „რეალს“ კრიშტიანუ რონალდუზე. მადრიდელები სარეკორდო 45 მილიონის გადამხდელები ჩანან და ცდას არ აკლებენ, რომ პორტუგალიელი მოიპოვონ, მაგრამ „იუნაიტედის“ პასუხმისმგებელმა შეფმა დევიდ გილმა თქვა: „ამ წინადადებას არ მივიღებთ. ჩვენ გრძელვადიანი გეგმები გვაქვს. როგორც ერთხელ არსენ ვენგერმა თქვა, კლუბი ბანკი არ არის. ჩვენ მაღალი კლასის გუნდი გვყავს და მაყურებელს ალვაფრთოვანებთ. 35 იქნება, თუ 45, მნიშვნელობა არ აქვს. არის ტალანტი, რომელსაც ფულში არ გავცვლით. რონალდუს წელს ბრწყინვალე სეზონი აქვს, მაგრამ უკეთესი წინაა.“

**ირაკლი გამყრელიძე**

# ზიდანისტი გენუიდან



2006 წლის 9 ივლისი



2007 წლის 28 იანვარი

**ფეხბურთში** ახალი მოდაა — თუ გინდა „კაი ბიჭი“ იყო და პატივს გცემდნენ, მარკო მატერაცის უნდა დაარტყა, ხოლო თუ თავს ჩაარტყამ, ეს კიდევ უფრო აგიწევს ფასს. ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ ზიდანი მართლაც ბევრმა „აიტაცა“. მას მერე, რაც ზინედინ ზიდანმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მატერაცისგან სიტყვიერი შეურაცხყოფა ვერ მოითმინა და მას თავი ჩაარტყა, ყველა, ვისაც არ ეზარება, „ინტერისა“ და იტალიის ნაკრების მცველს უმოწყალოდ უტყაპუნებს. მერე, მყრალი ხასიათითა და პროვოკატორობით განთქმული „მატრიცა“ გამოდის და ამბობს, მსხვერპლი ვარო.

კვირას სერია A-ს 21-ე ტური გენუაში „სამპდორია“ — „ინტერის“ მატჩით დასრულდა. „ნეროაძურიმ“ მორიგი, მიჯრით მე-14 გამარჯვება მოიპოვა, რითაც სრულიად ევროპის რეკორდს მიუახლოვდა — ზედიზედ 15-ჯერ აქამდე მხოლოდ „რეალსა“ და „ბაიერნს“ მოეგოთ. ამაში მილანელებს მასპინძელთა ნახევარმცველი ჯენარო დელ ვეკიო დაეხმარა. შეხვედრის მე-7 წუთზე იგი „ინტერის“ მეკარე ჟულიო სეზარს ეუხეშა, მატერაცი თანაგუნდელს გამოესარჩლა და დელ ვეკიოს წაეკინკლავა. რითიც დასრულდა ეს ყველაფერი, ძნელი გამოსაცნობი არ არის — დელ ვეკიომ მატერაცის თავი ჩაარტყა და მსაჯ რიცოლისგან წითელი ბარათი მიიღო. კინაღამ გუნდური ჩხუბი ატყდა, მაგრამ ბოლოს ვითარება განიმუხტა და „ინტერმაც“ ათკაციან მეტოქეს საკმაოდ იოლად მოუგო.

მარკო მატერაცი: „ცუდი არაფერი გამიკეთებია. ჟულიო სეზარის ინციდენტამდე დელ ვეკიო ადრიანოსაც ეუხეშა. მე აგრესიული ფეხბურთი მიყვარს, მაგრამ როცა ხედავ, რომ მეკარეს ბურთი უკვე ხელში აქვს, მგონი, უნდა გაჩერდე. დელ ვეკიომ იუხეშა და მასთან მივედი, არანაირ პროვოკაციას ადგილი არ ჰქონია. უბრალოდ, ვუთხარი, მსგავსი გამოხტომები შეეწყვიტა, პასუხად კი მან თავი ჩამარტყა, რის გამოც ენა გავიჭერი და სისხლი წამომივიდა. არც „სამპდორიას“ მწვრთნელ ვალტერ ნოველინოსთან მიჩხუბია, მხოლოდ ვუხსნიდი, რაც მოხდა. ზოგჯერ შარში ვეხვევი, მაგრამ ჩემს შეცდომებზე ყოველთვის პასუხს ვაგებ. ამჯერად კი ნამდვილად არაფერი დამიშავებია“.

„შევცდი, რისთვისაც ბოდიში უკვე მოვიხადე. თუმცა მატერაციმ ჩემი პროვოცირება მოახდინა და მინდა, ეს აღიაროს. მან თქვა,რომ მე ადრიანოსა და ჟულიო სეზარის დაშავება მინდოდა, რაც ტყუილია. სხვანაირად რომ დაეწყო ჩემთან ლაპარაკი, ამგვარი რეაქცია არ მექნებოდა. რა თქვა ასეთი მატერაციმ? შეგიძლიათ ეს, ვიდეოჩანაწერში მისი ტუჩების მოძრაობით გაარკვიოთ“ — განაცხადა დელ ვეკიომ.

მოახდინა მატერაციმ მორიგი „მსხვერპლის“ პროვოკაცია, თუ ამჯერად მართლაც თავად იყო „მსხვერპლი“, ეს ჯერ უცნობია. თუმცა რაც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ ამ ყველაფრისგან ისევ თავად დელ ვეკიო და „სამპდორია“ დაზარალდნენ. ხუთ დღეში ეს გენუელების ზედიზედ მეორე საშინაო მარცხი იყო „ინტერთან“. წინა კვირაში „ნეროაძურიმ“ იტალიის თასის ნახევარფინალურ მატჩში ვალტერ ნოველინოს გუნდს 3:0 მოუგო.

„ინტერის“ მთავარი მწვრთნელი რობერტო მანჩინი: „ჩემპიონატი ჯერ არ დამთავრებულა, კონცენტრაცია არ უნდა დავკარგოთ. მომავალ ტურში „რომასთან“ ძალიან მნიშვნელოვანი და რთული მატჩი გველის. რაც შეეხება უშუალოდ „სამპდორიასთან“ მატჩს, დელ ვეკიოს გაძევების შემდეგ ინერტულები ვიყავით, მაგრამ ტაიმის მიწურულს გამოვიღვიძეთ, რაც ზლატან იბრაჰიმოვიჩის გოლშიც აისახა“.

ვალტერ ნოველინო: „პროფესიონალი ასე არასდროს არ უნდა მოიქცეს. „ინტერთან“ თამაში ისედაც ძნელი იყო და, მით უმეტეს, ათი კაცით... თუმცა ცუდად მაინც არ გამოვიყურებოდით. დელ ვეკიოს საქციელს კი გამართლება არ აქვს“.

**გიორგი ძაძაბაძე**

# მოდი, უნდა ჩაგეხუტო!



წვერგაპარსული ლალასი

**დევიდ ბექემი** თავისი კონტრაქტის ყოველ კაპიკს იმსახურებსო, ასე უთქვამს „ლოს ანჯელეს გალაქსის“ პრეზიდენტს, ალექსი ლალასს, რომელიც ცანცარა წვერით ეხსომებათ ფეხბურთის გულშემატკივრებს.

„თუ რამე მართლა დიადი გინდა, უნდა გადაიხადო კიდეც — უთქვამს ლალასს — ეს კონტრაქტი ორივე მხარეს აწყობს. ჩვენ უკვე ასობით სეზონური ბილეთი, მაისურა და სხვა სუვენირები გავყიდეთ. ბექემი მხოლოდ გაისად გადმოვა ჩვენთან და უკვე ბევრი შესძინა კლუბს“. ლალასი იმედოვნებს, რომ ბექემი თავისი თამაშითაც ძალიან დაეხმარება „გალაქსის“ და ფეხბურთის პოპულარიზაციის საქმეშიც დიდი ფიგურაა.

თუმცა, კლუბს ჯერ არ გადაუწყვეტია, ფლანგზე ითამაშებს ბექჰი თუ ცენტრში და ისიც საეჭვოა, რომ ის აპრილშივე შეუერთდეს ახალ გუნდს ანუ ამერიკული სეზონის გახსნას ბექემი ვერ დაესწრება, რადგან ზაფხულამდე „რეალს“ ეკუთვნის.

„მერე კი ჩავიხუტებთ“ — უხარია ლალასს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ანჩელოტი რადიოდან ოცნებობს

„მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ერთ-ერთ იტალიურ რადიოსთან საუბარში რამდენიმე საინტერესო კომენტარი გააკეთა. პირველ რიგში „კარლიტოს“ „სკუადრა აძურაზე“ ნათქვამი სიტყვები უნდა გამოვარჩიოთ - თურმე მას ეროვნული ნაკრების გაწვრთნა სურს და იმედი აქვს, რომ ამ ოცნებას ერთ დღეს აისრულებს.

„იმედია, ოდესმე „სკუადრა აძურას“ გავწვრთნი, ამისგან უდიდეს სიამოვნებას მივიღებ. მესმის, ეს შეიძლება კარგად არ ჟღერდეს, რადგან ახლა „ნაციონალეს“ თავკაცი რობერტო დონადონია, რომელიც ჩემი მეგობარია. მინდა, მას დიდი წარმატება ვუსურვო მომავალ ევროპის ჩემპიონატზე და 2010 წლის მუნდიალზე“ — აღნიშნა ანჩელოტიმ.

ამ განცხადებამ ახალ ჭორებს ჩაუყარა საფუძველი. მოგეხსენებათ, დონადონის იტალიის ნაკრებში მუშაობა იდეალურად არ ფასდება და ვინ იცის, იქნებ ახლო მომავალში მისი გადადგომის საკითხი ისევ რეალურად დადგეს დღის წესრიგში. ხოლო იმაზე, რომ ანჩელოტი ამ სეზონის მერე წავა „მილანიდან“, ძალიან დიდი ხანია ლაპარაკობენ და გასაგებია, რაზე მიგვანიშნებენ აპენინელი ჟურნალისტები.

ბუნებრივია, ანჩელოტის რონალდოზეც ჰკითხეს, რომლის „მილანში“ გადასვლაც თითქმის გადაწყვეტილია: „რონალდო გასუქდა? მე ასე არ ვფიქრობ, უბრალოდ, ჩაფსკვნილია და შთამბეჭდავი აღნაგობა აქვს. იგი ძალიან მოტივირებულია, რაც იმითაც დაამტკიცა, რომ თავიდანვე სწორედ „მილანში“ უნდოდა გადმოსვლა. არადა, შეეძლო სხვა წინადადებას დათანხმებულიყო, რაც ფინანსურადაც უფრო აძეირებდა. რონალდო ბრწყინვალე და სწრაფი ფორვარდია. „რეალში“ ხშირად სათადარიგოთა სკამზე სვამდნენ, ამიტომ ცოტა მეტი ვარჯიში და ფორმის აღდგენა სჭირდება, მაგრამ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად რჩება“.



დაბოლოს, გამოცდილ ტაქტიკოსს, რომელსაც „მილანთან“ მოქმედი კონტრაქტი 2008 წლამდე აკავშირებს, „როსონერის“ მიზნებზეც ესაუბრნენ. მოგეხსენებათ, სერია A-ში შავ-წითლების მთავარი ამოცანა ახლა ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა, რაც, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, არცთუ ადვილი იქნება. თუმცა ბოლოდროინდელი შედეგების მიხედით „მილანი“ ნელ-ნელა, მაგრამ მაინც თითქოს გამოდის კრიზისიდან.

„ჩემპიონთა ლიგა ჩვენთვის ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ახლაც ასეა. ვეცდებით, მაქსიმალურად წარმატებით ვითამაშოთ, რაც ეკონომიური თვალსაზრისითაც დაგვეხმარება. სერია A-ში კი ჩვენი მთავარი მიზანი მომავალი სეზონის ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა. კალჩოპოლის სკანდალმა პრობლემები შეგვიქმნა, მთლად კარგი პერიოდი არ გვიდგას და ტრავმებმაც გაგვირთულა საქმე. ერთი სიტყვით, სეზონის პირველ ნახევარში სათანადო ფეხბურთი ვერ ვაჩვენეთ“ — დასძინა „კარლიტომ“.

**კოკი კანდელაკი**

# ნიღბიანი კონფალონე




ტრეზეგეს „იუვე“ „სპეციასთან“ კინაღამ შერცხვა

**ტურინის** „იუვენტუსმა“ კიდევ ერთი სენსაცია გამოაცხო. „ბებერმა ქალბატონმა“ სერია B-ს ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფ „სპეციას“ ვერ მოუგო. მეტიც, „სტადიო პიკოზე“ მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ „ბიანკონერი“ ქულითაც ბედნიერი უნდა იყოს.

„იუვემ“ გოლი 39-ე წუთზე გაუშვა, დამცავი ნიღბით მოთამაშე კონფალონემ თავური დარტყმით იხეირა. „სპეციას“ გოლის გატანის კიდევ რამდენიმე შანსი ჰქონდა, მაგრამ ჯანლუიჯი ბუფონი ჩვეულად ბრწყინვალე იყო. 79-ე წუთზე, როცა ჯულიანო ჯანიკედამ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და ტურინელები 10 კაცით დარჩნენ, დიდიე დეშანის გუნდი თითქოს უიმედო მდგომარეობაში ჩავარდა. თუმცა მხნელად „ბებერ ქალბატონს“ ისევ ვეტერანი ჩეხი ნახევარმცველი პაველ ნედვედი მოევლინა. მან 90-ე წუთზე საჯარიმოს მისადგომებიდან დაბალი, ძლიერი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. ამ ქულით „ბიანკონერიმ“ სერია B-ს ლიდერობა შეინარჩუნა.

„ასეთ პატარა მოედანზე, თან აგრესიულ მეტოქეებთან ჩვენი ჩვეული სტილით თამაში ძალიან ძნელია. თუმცა ამასაც უნდა მივეჩვიოთ. ბუფონის გარეშე ალბათ ქულის აღებაც წარმოუდგენელი იქნებოდა. ჯიჯიმ რამდენჯერმე გვიხსნა, რისთვისაც მადლობას ვუხდი. მინდვრის ხარისხი ჩვენს სასარგებლოდ ნამდვილად არ იყო. „სპეცია“ დაცვაში ჩაიკეტა და საკუთარი თამაში თავზე ვერ მოვახვიეთ. როცა ათი კაცით დავრჩით, აშკარად უკეთ გამოვიყურებოდით“ — თქვა დეშანმა.

ფრანგმა მსაჯობაზეც ისაუბრა. იგი არბიტრებით ისევ არ არის კმაყოფილი. მისი აზრით, ჯანიკედას გაგდება ცოტა ნაჩქარევი გადაწყვეტილება იყო, ხოლო „იუვეს“ პენალტი არ დაუდეს.

დიდიე დეშანი: „თუ ჯულიანო გასაგდები იყო, მაშინ მსაჯებს სხვა წესების დარღვევებისთვისაც უნდა მიექციათ ყურადღება, რომლებიც, ჩემი აზრით, უფრო აშკარა გახლდათ. ასევე, პენალტს ფაქტობრივად არ გვინიშნავენ, თითქოს ეს აკრძალულია. არადა, საკამათო სიტუაცია ბევრი იქმნება, რადგან ჩვენ შემტევი გუნდი გვყავს. თუმცა არბიტრებისაც მესმის, მით უმეტეს, გასვლით მატჩებში. მათ სათუო ვითარებაში პენალტი რომ დაგვინიშნონ, შეიძლება, მთელი სტადიონი მინდორზე გადმოვიდეს“.

„ჩვენ მოგება დავიმსახურეთ. ვიცოდით, რომ „იუვენტუსთან“ წარმატებისთვის საოცრად უნდა გვეთამაშა და ბიჭებმა ეს შეძლეს. მათ ყველაფერი გაილეს. მეტოქეს არანაირი სივრცე არ დავუტოვეთ, აგრესიულად და სახიფათოდ ვითამაშეთ. ისტორიულ გამარჯვებასთან ძალიან ახლოსაც ვიყავით, მაგრამ ბოლო წუთებზე პატარა შეცდომას ძალიან საწყენი გოლი მოჰყვა და დამსახურებული 3 ქულა ხელიდან გამოგვაცალა“ — განაცხადა „სპეციას“ მწვრთნელმა ანტონიო სოლდამ.

**გიორგი კაკაბაძე**

# ბრაიდა ფიფაში ლამპარდს ეძებს

„მილანის“ გენერალურმა დირექტორმა არიედო ბრაიდამ დაადასტურა, რომ ფრენკ ლამპარდის ტრანსფერზე სერიოზულად ფიქრობს. ფიფას ახალი წესებით, ფეხბურთელს საკუთარი თავის გამოსყიდვის უფლება აქვს, თუკი მან მანამდე მოაწერა კონტრაქტს ხელი, სანამ 28-ის შესრულდებოდა და აქედან სამი წელი უკვე გავიდა. ასეთ შემთხვევაში, უკვე ფეხბურთელის ფასი აღარაა მთავარი, მთავარია, რომ მან თავისი ხელფასი გადაიხადოს, რომელიც კონტრაქტის დარჩენილ ვადაში უნდა მიეღო და გუნდიდან თავისუფალია. ამ გათვლით, ლამპარდს საკუთარი თავის ყიდვა 8 მილიონ გირვანქად შეუძლია.

„რაო? ეს მართალია? ლამპარდის შეძენა 8 მილიონ გირვანქად შეგვიძლია? — უკითხავს ბრაიდას „სანდი მაილთან“ საუბარში — ეს საინტერესო ვარიანტია, ლამპარდი ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა.“

„ჩელსის“ სურს, რომ ლამპარდს კონტრაქტი გაუხანგრძლივოს, მაგრამ მოლაპარაკება კარგად ვერ მიდის. ფეხბურთელის აგენტმა სტივ კატნერმა განაცხადა, კლუბის აღმასრულებელ შეფს პიტერ კენიონს ჯერ კიდევ შობამდე შევხვდი, მაგრამ ვერ მოვრიგდით. „თუკი ფრენკი წასვლას მოისურვებს „ჩელსიდან“, პრობლემა არ ექნება. ფიფას ახალი წესი ამის უფლებას აძლევს“ — თქვა კატნერმა.

**ირაკლი ნინიძე**



## ფეხბურთის რუკასთან

**ბელგიური** „ბრიუგეს“ მწვრთნელი ემილიო ფერერა გაათავისუფლეს და მის ნაცვლად სერბი სედო იანევსკი დანიშნეს. სპორტული დირექტორი მარკ დეგრისიც გაშვებულ მწვრთნელს გააყოლეს. „ახალი ცოცხლის დრო მოვიდა“ — თქვა კლუბის შეფმა მიშელ დოგემ. „ბრიუგემ“ შაბათს შინ წააგო „რუზელარესთან“ 0:1 და ამიტომ მიაბრძანეს ფერერა, რომელმაც შარშან აპრილში გუნდი იან კულემანსისგან ჩაიბარა. „ბრიუგე“ ამჟამად მეხუთე ადგილზეა 32 ქულით.

**ინგლისური** „ტოტენჰემის“ ნახევარმცველი ედგარ დავიდსი თავისუფალი აგენტის სტატუსით ამსტერდამის „აიაქსში“ გადადის. ამის შესახებ ჰოლანდიურმა სააგენტო ANP-მ განაცხადა. დავიდსი, სავარაუდოდ 18-თვიან კონტრაქტს გააფორმებს კლუბთან, სადაც კარიერა დაიწყო 1991 წელს. შესაძლოა, მისი დებიუტი მომავალ უქმეებზე „ფეიენოორდთან“ მატჩში შედგეს. „პიტბულს“ „აიაქსში“ სამჯერ მოუგია ჰოლანდიის ჩემპიონატი (1994, 95, 96), ერთხელ უეფას თასი (1992) და ჩემპიონთა თასი (1995). მას ასევე უთამაშია „მილანში“, „იუვენტუსში“, „ბარსელონაში“ და „ინტერში“.

**ჰოლანდიურმა** „ალკმაარმა“ ფრანგული „ნანტიდან“ მაროკოელი ფორვარდი ნურდინ ბუხარი ითხოვა სეზონის ბოლომდე და ევებ კონტრაქტიც გამოისყიდოს თუ ფეხბურთელი ვან გაალის ნახაზებში კარგად ჩაეწერება. „ალკმაარს“ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე მეკარის შეძენაც სურს და დანიურ „ბრონდბიუს“ კასპერ ანკერგრენზე ევაჭრება.

**ინგლისურმა** „უიგანმა“ მეორე დივიზიონის „ჩესტერფილდისგან“ კეილებ ფოლანი იყიდა და სამწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გაუფორმა. 24 წლის ფეხბურთელი „ლიდსის“ აღზრდილია და მისი გადაბირება ძალიან უნდოდა „უიგანის“ მწვრთნელ პოლ ჯუელს.

**გერმანული** „შალკეს“ მცველი კრისტიან პანდერი „აინტრახტთან“ მატჩის წინ ვარჯიშზე დაშავდა და დაახლოებით თვენახევარი ველარ ითამაშებს. 23 წლის პანდერი ამ სეზონში მხოლოდ რვაჯერ იყო ძირითად შემადგენლობაში მას შემდეგ, რაც წელიწადზე მეტი გაუცდა მუხლის ტრავმის გამო.

**ჰოლანდიურმა** „ფეიენოორდმა“ „ექსელსიორიდან“ 19 წლის ნახევარმცველი ლუიჯი ბრუინსი გადაიბირა. ნიჭიერი ფეხბურთელის დებიუტი „ექსელსიორში“ 2005-ში შედგა, ამ სეზონში კი 20 მატჩში ხუთი გოლი შეაგდო.

# როზერტო მანჩინი: რა ჩელსი აზიტყდათ?



„ინტერის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ უარყო ხმები, თითქოს მას სეზონის დამთავრების შემდეგ „ჩელსიში“ უნდოდეს გადასვლა.

შეგახსენებთ, რომ მანჩინის კონრაქტს მოქმედების ვადა ექვს თვეში ელევა, ხოლო ინგლისურმა გაზეთმა „სანმა“ გასულ კვირაში რამდენიმე წერილი მიუძღვნა იმას, რომ „ჩელსის“ პრეზიდენტი რომან აბრამოვიჩი სეზონის ბოლოს ჟოზე მაურინიუს გაშვებას და მის ადგილას სწორედ მანჩინის მიყვანას აპირებს.

და აი, მანჩოს პასუხი: „ამ საკითხზე არავისთან მილაპარაკია და შესაბამისად ვერავის ვეტყოდი, რომ „ჩელსიში“ მინდა გადასვლა. ეს იცით რას ჰგავს? ძლიერ ფეხბურთელზე, რომელიც ერთ დიდ გუნდში თამაშობს, რომ წერენ, მეორეში უნდა გადასვლაო. ამის მოსმენა, რასაკვირველია, სასიამოვნოა, რადგან იმას ნიშნავს, რომ მე ჩემს საქმეს კარგად ვუძლვები. სხვა ამბავია, თუ პრესამ ახლა, რამდენიმე წლის წინანდელი ჩემი რომელიმე ნათქვამი გაიხსენა. მაგალითად, ის, რომ სიამოვნებით ვიმუშავებდი ინგლისში მას მერე, რაც „ინტერში“ მუშაობას თავს დავანებებ“.

მოგეხსენებათ, „ინტერის“ მეპატრონემ მასიმო მორატიმ იმედი გამოთქვა, რომ მანჩინი ახალ ხელშეკრულებას ხელს მოაწერს.

მანჩინი: „ახალი კონტრაქტის დასადებად ნიადაგი თუ არსებობს? მგონი დიახ. ყოველ შემთხვევაში პრობლემებს ვერ ვხედავ. სხვაა, რომ არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანს ეს ყველაფერი. სერ ალექს ფერგიუსონი „მანჩესტერ იუნაიტედში“ აგერ უკვე 20 წელიწადია რაც მუშაობს. ასეთი რამ იტალიაში ძნელია, რადგან ჩვენთან ამისათვის საჭიროა მუდმივად მოიგო. აქ, ზედიზედ ხუთი წელიწადი რომ მოიგო და მეექვსე წელიწადს წააგო, ყველაფერი შეიცვლება“.

კვირას „ინტერმა“ სერია A-ში ზედიზედ მე-14 თამაში მოიგო და რეკორდი გააუმჯობესა.

**ბაჩუნა ძედია**



# მაურინიუმ სია ნახა და იცინა

**წუხელ** ჟოზე მაურინიუმ თავისი სავარაუდო შემცვლელები გააფრთხილა.

„ჩელსის“ ბოსმა თქვა: „არავის ვურჩევ ამ თანამდებობის დაჭერას ჩემს შემდეგ. იმის შემდეგ, რაც გავაკეთე, ჩემი შეცვლა ძნელი იქნება“.

განთქმული მწვრთნელების 12-13 კაციანი სია ბოლო კვირებში პოპულარული გახდა ინგლისურ მედიაში. აბრამოვიჩ-მაურინიუს კონფლიქტის ფონზე ამ სიას „ინტერის“ თავკაცი რობერტო მანჩინი უდგას სათავეში.

„მანჩინი და კომპანია დროს კარგავენ. ამ სიტუაციაში ლიდერი მაინც მე ვარ და ამას ყურადღებას არ ვაქცევ. ამაში ფეხბურთელებიც დამემოწმებიან. წლის ბოლომდე გუნდში ვარ. კონტრაქტი 2010 წლამდე მაქვს. მგონი, 2010 წლამდე მენეჯერი ვიქნები და ჩემი თანაშემწეებიც ჩემს გვერდით იქნებიან. გვინდა ეს სეზონიც განსაკუთრებულად დავასრულოთ. ჰო, მე და რომან აბრამოვიჩმა ვილაპარაკეთ. ის ლონდონში დიდი ხანია არ არის, მაგრამ ბოსია და თავისი წილი უფლება აქვს. როცა დაბრუნდება, კვლავ ჩვენთან იქნება“.

„ჩელსიმ“ კი თასიდან შევჩენკოს, დროგბასა და ჯონ ობი მიკელის გოლებით დაითხოვა „ნოტინგემი“. რედ რომმა ამ თამაშს თელ-ავივში ტელევიზორში უყურა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| XXV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბოლტონი | : | ჩარლტონი |
| პორტსმუთი | : | მიდლსბრო |
| რედინგი | : | უიგანი |
| შეფილდი | : | ფულემი |
| ვესტ ჰემი | : | ლივერპული |
| **ხვალ** | | |
| ჩელსი | : | ბლექბერნი |
| მანჩესტერი | : | უოტფორდი |
| ნიუკასლი | : | ასტონ ვილა |

# ინგლისი

# დუბაიდან უოტფორდამდე

**ხვალ** ცხრილის თავი და ბოლო ერთმანეთს „ოლდ ტრეფორდზე“ შეხვდებიან — „მანჩესტერ იუნაიტედი“ „უოტფორდს“ უმასპინძლებს, რომელიც დიდი ნაბიჯებით მიდის ქვედა დივიზიონისკენ, საიდანაც შარშან ზარ-ზეიმით ამობრძანდა. და რა შანსი აქვს „უოტფორდს“? ალბათ, მხოლოდ ერთი — სასწაული უნდა მოხდეს, რომ „მანჩესტერმა“ ვერ მოიგოს.

ალექს ფერგიუსონი სახვალიოდ, თავის საუკეთესო მეგოლეს კრიშტიანუ რონალდუს და ლუის საას ამზადებს. რონალდუმ ერთკვირიანი დასვენება ითხოვა და დუბაიში მზეს ეფიცხებოდა, ხოლო საამ დაჟეჟილი მუხლი მოირჩინა. ორივე ფეხბურთელმა გამოტოვა სათასო მატჩი „პორტსმუთთან“, რომელიც „მანჩესტერმა“ უეინ რუნის დუბლით მოიგო.

რონალდუმ ბოლო შვიდ შეხვედრაში ამდენივე გოლი შეაგდო, ხოლო მან და საამ ერთად, მთელ სეზონში, ყველა შეჯიბრში 25 მოაგროვეს. ამათ თუ რუნისაც დავამატებთ, „უოტფორდის“ ფეხბურთელებს ციბრუტივით ბზრიალი მოუწევთ „ოლდ ტრეფორდზე“. ფერგიუსონი თითქოს რუნის დასვენებას აპირებდა აუტსაიდერთან მატჩში, მაგრამ, რაკი ბიჭი ფორმაშია, ალბათ, ათამაშებს. „თუ წაუვიდა თამაში და გოლები ისე შეყარა, როგორც გასულ სეზონში, მაშინ ჩვენი გაჩემპიონების შანსი გვარიანად გაიზრდება“ — თქვა ფერგიუსონმა.

„მანჩესტერის“ მდევარ „ჩელსის“ კი „ბლექბერნი“ ესტუმრება, რომელმაც ბოლო რვა მატჩიდან ექვსი მოიგო და ამის გათვალისწინებით, ჟოზე მაურინიუს გუნდისთვისაც იოლი ლუკმა არ უნდა იყოს. ბოლო ხანს პრობლემებით დაღლილი პორტუგალიელისთვის დიდი შვება იქნება, თუ ხვალ დაცვის ცენტრს ჯონ ტერი დაუბრუნდება. ინგლისის ნაკრების კაპიტანმა ზურგის ტრავმა მოირჩინა და შესაძლოა, „ბლექბერნთან“ გამოჩნდეს. ტერის 13 დეკემბრის მერე აღარ უთამაშია, რაც „ჩელსის“ შედეგებს აშკარად დაეტყო. სამი მატჩი ფრედ დაასრულეს, „ლივერპულთან“ კი 0:2 წააგეს. მასპინძლებს არ ეყოლებათ დაშავებული ფლანგელები, ჯო კოული და არიენ რობენი.

გასულ კვირას დიდიე დროგბამ და ეშლი კოულმა თქვეს, რომ შექმნილი არეულობის მიზეზი მაურინიუსა და კლუბის პატრონს შორის უთანხმოებაა და ეს მალე უნდა მოგვარდეს, რომ გუნდმა მხოლოდ თამაშზე იფიქროს.

„ჩელსიმ“ ლიგის თასზე „უიკომბთან (4:0) და ასოციაციის თასზე „ნოტინგემთან“ (3:0) მოგებით ცოტა ამოისუნთქა, პრემიერლიგის წინა ტურში კი შინ იოლად სძლიეს „უიგანსაც“ (4:0).

„ლივერპული“ კი საუცხოო ფორმაშია და ლიგაში დასარჩენად მებრძოლ „ვესტ ჰემს“ დღეს ეწვევა. რაფაელ ბენიტესის შეგირდები, ალბათ, სამ ქულას მიითვლიან.

„არსენალს“ „სიტისთვის“ უნდა ემასპინძლა, მაგრამ ლიგის თასზე ხვალ „ტოტენჰემს“ ეთამაშება და ამიტომ სიტელებთან მატჩი გადაიდო, ხოლო „ნიუკასლი“ — „ასტონ ვილას“ შეხვედრაში, სტუმართა გუნდში, ალბათ, ნორვეგიელი იონ კარეუს დებიუტი შედგება, რომელიც „ლიონიდან“ გადაიყვანეს.



ჯონ ტერი

**ირაკლი ნინიძე**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | 1:1 | 2:0 | 0:1 | | 3:0 | 3:0 | 3:2 | 1:0 | | | 2:0 | 3:1 | 3:1 | 5:1 | | 3:1 | | | | 24 | 18 | 3 | 3 | 53:18 | 57 | 10 | 1 | 1 | 29:8 | 31 | 8 | 2 | 2 | 24:10 | 26 |
| 2 | ჩელსი | | | 1:0 | 1:1 | | 2:1 | | 2:2 | | | | 1:0 | 3:0 | 1:1 | 2:2 | | 4:0 | 1:0 | 2:1 | 4:0 | 24 | 15 | 6 | 3 | 41:19 | 51 | 8 | 4 | 0 | 24:8 | 28 | 7 | 2 | 3 | 17:11 | 23 |
| 3 | ლივერპული | | 2:0 | | | 3:0 | 0:0 | | 2:0 | 3:0 | 1:1 | | 2:0 | 1:0 | 3:1 | 4:0 | | | 2:1 | | 2:0 | 24 | 14 | 4 | 6 | 37:16 | 46 | 10 | 2 | 0 | 25:3 | 32 | 4 | 2 | 6 | 12:13 | 14 |
| 4 | არსენალი | 2:1 | | 3:0 | | | 2:2 | 1:1 | | 3:0 | 6:2 | 1:1 | 1:1 | | 1:1 | | 3:0 | | | 4:0 | 3:0 | 24 | 13 | 6 | 5 | 45:20 | 45 | 7 | 5 | 0 | 30:9 | 26 | 6 | 1 | 5 | 15:11 | 19 |
| 5 | ბოლტონი | 0:4 | 0:1 | 2:0 | 3:1 | | 3:2 | | | 2:0 | | 0:0 | 2:1 | 0:0 | | | | 0:1 | 4:0 | | 1:0 | 24 | 12 | 4 | 8 | 28:26 | 40 | 7 | 2 | 3 | 17:10 | 23 | 5 | 2 | 5 | 11:16 | 17 |
| 6 | პორტსმუთი | | | | | 0:1 | | 2:0 | 3:1 | 1:1 | 3:0 | | | | 2:2 | 1:1 | 3:1 | 1:0 | 2:0 | 0:1 | 2:1 | 24 | 10 | 7 | 7 | 34:24 | 37 | 7 | 3 | 2 | 20:9 | 24 | 3 | 4 | 5 | 14:15 | 13 |
| 7 | ევერტონი | | 2:3 | 3:0 | | 1:0 | | | 1:1 | | | 0:0 | 3:0 | 1:1 | 0:1 | | 2:0 | 2:2 | 2:0 | | 2:1 | 24 | 9 | 8 | 7 | 31:23 | 35 | 6 | 4 | 2 | 19:9 | 22 | 3 | 4 | 5 | 12:14 | 13 |
| 8 | რედინგი | 1:1 | 0:1 | | 0:4 | 1:0 | | 0:2 | | 3:1 | 1:2 | 3:2 | | 1:0 | | | 3:1 | | 6:0 | 2:0 | | 24 | 10 | 4 | 10 | 34:32 | 34 | 7 | 1 | 4 | 21:14 | 22 | 3 | 3 | 6 | 13:18 | 12 |
| 9 | ტოტენჰემი | | 2:1 | 0:1 | | | 2:1 | 0:2 | | | | 2:1 | 2:3 | | 2:1 | 0:0 | 2:0 | 3:1 | 1:0 | 5:1 | | 24 | 9 | 6 | 9 | 29:32 | 33 | 8 | 1 | 3 | 21:12 | 25 | 1 | 5 | 6 | 8:20 | 8 |
| 10 | ბლექბერნი | 0:1 | 0:2 | 1:0 | 0:2 | 0:1 | | 1:1 | | 1:1 | | 2:1 | 1:3 | 4:2 | | 2:0 | | 2:1 | | | | 24 | 9 | 4 | 11 | 28:33 | 31 | 5 | 2 | 5 | 14:15 | 17 | 4 | 2 | 6 | 14:18 | 14 |
| 11 | მიდლსბრო | 1:2 | 2:1 | 0:0 | | 5:1 | 0:4 | 2:1 | | | 0:1 | | 1:0 | | | | 3:1 | 1:1 | 1:0 | 2:0 | | 24 | 8 | 6 | 10 | 29:29 | 30 | 7 | 2 | 3 | 18:12 | 23 | 1 | 4 | 7 | 11:17 | 7 |
| 12 | ნიუკასლი | 2:2 | | | | 1:2 | 1:0 | 1:1 | 3:2 | 3:1 | | | | | | 1:2 | 0:1 | 2:1 | 2:2 | 0:0 | 2:1 | 24 | 8 | 6 | 10 | 28:32 | 30 | 5 | 4 | 3 | 18:15 | 19 | 3 | 2 | 7 | 10:17 | 11 |
| 13 | სიტი | | | | 1:0 | 0:2 | 0:0 | 2:1 | | 1:2 | 0:3 | 1:0 | 0:0 | | | 3:1 | 0:0 | | 2:0 | | 0:0 | 24 | 8 | 6 | 10 | 19:28 | 30 | 5 | 4 | 3 | 10:9 | 19 | 3 | 2 | 7 | 9:19 | 11 |
| 14 | ასტონ ვილა | 0:3 | 0:0 | | | 0:1 | | | 2:1 | 1:1 | 2:0 | 1:1 | 2:0 | 1:3 | | 1:1 | | | | 2:0 | 2:0 | 24 | 6 | 11 | 7 | 26:28 | 29 | 5 | 4 | 3 | 14:11 | 19 | 1 | 7 | 4 | 12:17 | 10 |
| 15 | ფულემი | | 0:2 | | 2:1 | 1:1 | | 1:0 | 0:1 | 1:1 | | 2:1 | | | | | 1:0 | 0:1 | 0:0 | 2:1 | 0:0 | 24 | 6 | 11 | 7 | 26:36 | 29 | 5 | 4 | 3 | 10:9 | 19 | 1 | 7 | 4 | 16:27 | 10 |
| 16 | შეფილდი | 1:2 | 0:2 | 1:1 | 1:0 | 2:2 | 1:1 | | 1:2 | | 0:0 | 2:1 | | 0:1 | 2:2 | | | | | 2:1 | | 24 | 6 | 6 | 12 | 19:33 | 24 | 3 | 5 | 4 | 13:15 | 14 | 3 | 1 | 8 | 6:18 | 10 |
| 17 | უიგანი | 1:3 | 2:3 | 0:4 | 0:1 | | | 0:2 | 1:0 | | 0:3 | | | 4:0 | 0:0 | | 0:1 | | | 3:2 | 1:1 | 23 | 6 | 4 | 13 | 23:38 | 22 | 3 | 2 | 7 | 12:20 | 11 | 3 | 2 | 6 | 11:18 | 11 |
| 18 | ვესტ ჰემი | 1:0 | | | 1:0 | | 1:2 | | 0:1 | | 2:1 | | 0:2 | 0:1 | 1:1 | 3:3 | 1:0 | 0:2 | | 3:1 | | 24 | 5 | 5 | 14 | 17:38 | 20 | 5 | 2 | 5 | 13:14 | 17 | 0 | 3 | 9 | 4:24 | 3 |
| 19 | ჩარლტონი | 0:3 | | 0:3 | 1:2 | 2:0 | 0:1 | 1:1 | | | 1:0 | 1:3 | | 1:0 | 2:1 | 2:2 | | | | | 0:0 | 24 | 5 | 4 | 15 | 19:43 | 19 | 4 | 3 | 5 | 11:16 | 15 | 1 | 1 | 10 | 8:27 | 4 |
| 20 | უოტფორდი | 1:2 | | 0:3 | 1:2 | | | | 0:0 | 0:0 | 2:1 | 2:0 | | | 0:0 | 3:3 | 0:1 | : | 1:1 | | | 23 | 2 | 9 | 12 | 14:32 | 15 | 2 | 5 | 4 | 10:13 | 11 | 0 | 4 | 8 | 4:19 | 4 |

# პიპომ რონალდოს კარი გაუღო და გვარი ანახა



**იტალიური** „მილანის“ ვეტერანმა თავდამსხმელმა ფილიპო ინძაგიმ აღნიშნა, რომ „როსონერიში“ რონალდოს გადასვლის ამბავი ძალიან უხარია.. მართალია, ეს ტრანსფერი ბოლომდე ჯერ არ გაჩარხულა, თუმცა, როგორც ცობილია, მოსაგვარებელი მცირე დეტალებიღა დარჩა და მალე „კიჭას“ შავ-წითელ მაისურაში ვიხილავთ. ხმები დაირხა, „მილანის“ რამდენიმე ფეხბურთელი, მათ შორის ინძაგი, მისი გუნდში მოსვლის წინააღმდეგნი არიანო.

მოგეხსენებათ, ინძაგი ბოლო დროს „მილანის“ ძირითად შემადგენლობაში არც ისე ხშირად ხვდება. თან ამბობენ, თუ რონალდო გადმოვა, ალბათ საყვარელ 9-ნომრიან მაისურას მოითხოვს, რომელიც ინძაგის აცვიაო. ერთი სიტყვით, „პიპოს“ აქვს მიზეზები, რათა ამ ტრანსფერის წინააღმდეგი იყოს, თუმცა თავად მან ეს ინფორმაცია უარყო.

„რატომ არ უნდა მინდოდეს რონალდოს ჩამოსვლა? იმ ფეხბურთელებისთვის, რომლებიც „მილანს“ წაადგებიან, კარი ყოველთვის ღიაა. მე „როსონერისთვის“ ყველაფერი კარგი მინდა და რონალდოს დარი დიდი მოთამაშეების საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს. ვიმედოვნებ, იგი გუნდს გააძლიერებს. კლუბისთვის ისევ საჭირო ვარ? ძალიან კარგი, ეს ჩემთვის მთავარია. „მილანისგან“ ბევრი მივიღე და თითოეულ მატჩში ვეცდები ვალის დაბრუნებას. ეს განსაკუთრებული გუნდია და შესაძლოა, ისე ხშირად არ ვთამაშობ, როგორც მინდა, მაგრამ არა უშავს“ — თქვა 33 წლის ფორვარდმა.

შეგახსენებთ, რომ კვირას „მილანმა“ „პარმას“, შეცვლაზე შესული ინძაგის კინკილა გოლით მოუგო. წარმატებას რომ აღნიშავდა, „პიპომ“ მაყურებელს თავის გვარზე მიუთითა, რაც ბევრმა ასე გაიგო — რონალდოს ყიდვა კი არა, მე დამაყენეთ ხშირად ძირითად შემადგენლობაში, თუ მოგება გინდათო.

„გოლებს ასე ადრეც აღვნიშნავდი. უბრალოდ, მინდოდა, ქომაგებისთვის ჩემი გვარი მეჩვენებინა. იმ მომენტში ყველაზე ნაკლებად ვფიქრობდი რომელიმე სხვა ფეხბურთელზე. რონალდო აქ არაფერ შუაშია და არც ის, ვის ეცმევა 9-ნომრიანი მაისურა. მთავარი კარგად თამაში და „მილანის“ წამრმატებაა“ — დასძინა ინძაგიმ.

**გიორგი კაკაბაძე**

# რეალმა ცუდი გაიმეორა



**რამდენი** გოლი გაიტანა ჩემპიონობის მსურველმა მადრიდის „რეალმა“? ცხრილში კარგად ჩანს, რომ „სამეფო კლუბმა“ 20 ტურში 28 გოლი შეაგდო — „ბარსელონაზე“ 15-ით, ხოლო „სევილიაზე“ 13-ით ნაკლები, მაგრამ მაინც მესამე ადგილზეა და ლიდერს მხოლოდ ოთხი ქულით ჩამორჩება.

28 — ასე ცოტა „რეალს“ 1991 წლის შემდეგ არ გაუტანია. უარესი შედეგიც ჰქონია, 1984-85 წლების სეზონში 20 მატჩში 24 შეაგდო, თუმც 1971-72 წლებში, როცა ჩემპიონი გახდა, სწორედ 24 გოლი მოაგროვა მე-20 ტურისთვის.

ეს ერთია, მაგრამ ბოლო რვა ტურში გუნდმა, რომელსაც ჩემპიონობაზე პრეტენზია აქვს, მხოლოდ ოთხჯერ გაიტანა. ერთხელ „ბეტისთან“ თასზე (1:1), ერთხელ „ესპანიოლთან“ (1:0) და ამდენივე „სარაგოსასთან“ (1:0) და „მალიორკასთან“. „უელვასთან“, „დეპორტივოსთან“, „ვილიარეალთან“ და „ბეტისთან“ ასევე თასზე სტუმრად პირველ შეხვედრაში, მეტოქის კარში ბურთი ვერ შეაგდო.

რობინიო და რეიესი ფორვარდებს წესიერ პასებს ველარ აძლევენ, საყრდენ ნახევარმცველებსაც დაუჩლუნგდათ ფეხები, ხოლო რუუდ ვან ნისტელროის დათვივით ჩაეძინა — „ვილიარეალთან“ წაგებულ მატჩში ჰოლანდიელს კარში არ დაურტყამს.

**ირაკლი ნინიძე**

# გერმანია

# ფელიქსი გაბრაზებულია

| XIX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| გლადბახი | : | ნიურნბერგი |
| შტუტგარტი | : | არმინია |
| ვოლფსბურგი | : | აინტრახტი |
| ბაიერნი | : | ბოხუმი |
| **ხვალ** | | |
| შალკე | : | ალემანია |
| ჰამბურგი | : | კოტბუსი |
| ლევერკუზენი | : | ვერდერი |
| ჰანოვერი | : | ჰერტა |
| მაინცი | : | დორტმუნდი |

**მიუნხენის** „ბაიერნი“ უკვე ექვსი ქულით ჩამორჩება ლიდერებს. მწვრთნელი ფელიქს მაგათი გაბრაზებულია და ბიჭებს უთხრა, „ბოხუმს“ თუ ვერ მოუგებთ, ჩემპიონობაზე აღარც იფიქროთო. „უკვე თვალებში შევცქერით ძალიან ცუდ ამბავს, ჩათვლემის უფლება აღარ გვაქვს. კიდევ ერთხელ თუ დაგვიცდა ფეხი, ბუნდესსალათეს ვეღარ დავინახავთ, ამიტომ „ბოხუმს“ აუცილებლად უნდა მოვუგოთ.“

დიდი რია-რიათი წავიდა „ბაიერნი“ დუბაიში შეკრებაზე და მწვრთნელსაც ეიმედებოდა, რომ მეორე წრიდან გუნდი უკეთესად ათამაშდებოდა, მაგრამ გასულ შაბათს „დორტმუნდთან“ წაგებულ მატჩში ყველაფერი გამოჩნდა: მცველები აბდაუბდა დარბოდნენ, ნახევარმცველებს შეტევისას ფანტაზია აკლდათ. ამას ისიც დაემატა, რომ „შალკემ“ და „ვერდერმა“ მოიგეს და „ბაიერნს“ ექვს-ექვსი ქულით გაექცნენ.

ფელიქს მაგათს „ბოხუმთან“ მატჩში არ ეყოლება ჰოლანდიელი ნახევარმცველი მარკ ვან ბომელი, რომელიც „დორტმუნდთან“ შეხვედრაში დაშავდა და გუშინწინ ვარჯიშიც გამოტოვა. სამაგიეროდ, არის ერთი კარგი ამბავი: ინგლისელი ოუენ ჰარგრივსი ხაზოლოოდ გამოკეთდა და ეგებ დღეს ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდეს. ჰარგრივსმა სექტემბერში ფეხი მოიტეხა და მას შემდეგ მკურნალობს. ირანელი ალი ქარიმიც ვერაა ფორმაში და შესაძლოა, მაგათმა სამი ნახევარმცველით და სამი თავდამსხმელით ითამაშოს, რადგან აუცილებლად მოგება სჭირდება. როი მაკაის და კლაუდიო პიზაროს ალბათ ლუკაშ პოდოლსკიც დაეხმარება.

გელზენკირხენის „შალკეს“ კი, „ბაიერნისგან“ განსხვავებით, ზამთრის შეკრება წაადგა და მეორე წრის პირველივე მატჩში სტუმრად „ანტრახტს“ მოუგო კევინ კურნის კარგი თამაშის წყალობით. აღსანიშნავია, რომ „შალკემ“, რომელიც დღეს „ალემანიას“ მასპინძლობს, ბოლო რვა შეხვედრიდან შვიდი მოიგო. „ხუმარები“ აშკარად საჩემპიონოდ არიან შემართულები და ხვალაც ალბათ სამ ქულას მიითვლიან. „ალემანია“ გუშინწინ „ლევერკუზენს“ შინ ეთამაშა და ნახევარ საათში 2:0-საც უგებდა, მაგრამ, ეტყობა, მიხაელ ფრონცეკის გუნდი ერთტაიმიანია, რადგან მეორეში სამი გოლი გაუშვა და ქულასაც ველარ ეღირსა. ბუნდესლიგაში „ალემანია“ იმით გამოირჩევა, რომ ყველაზე მეტი (36) გოლი აქვს გაშვებული და ამ რიცხვს გელზენკირხენშიც ერთ-ორს დაამატებენ.

ყველაზე უხვგოლიანმა გუნდმა „ვერდერმა“ კი გუშინწინ „ჰანოვერი“ სამით დააჯილდოვა და მეოთხეც შეეძლო, მიროსლავ კლოზეს პენალტი რომ გაეტანა. „ვერდერი“ ხვალ „ლევერკუზენს“ ეწვევა, სადაც ალბათ ისე ვერ გაისეირნებს, როგორც „ჰანოვერთან“.

და ბოლოს, ხვალ „ჰამბურგი“ შეეცდება, პირველი საშინაო მატჩი მოიგოს. თომას დოლის გუნდი „კოტბუსს“ მიიღებს და თავკაცი თავისი გეგმის (17 მატჩში 27 ქულა) განხორციელებას შეეცდება. ერთი უკვე აილო წინა ტურში „არმინიასთან“ და 26-ღა დარჩა მოსაგროვებელი. თუ ეს ვერ შეძლო, როგორც თავად განაცხადა, მეორე ბუნდესლიგაში გავარდნა არ ასცდება.



ოუენ ჰარგრივსი

**ირაკლი ნინიძე**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვერდერი | ■ | | 3:1 | 2:3 | 3:1 | 2:1 | | 1:3 | 3:0 | 1:1 | | 3:0 | 2:1 | | | 3:0 | | | 18 | 12 | 3 | 3 | 50:22 | 39 | 7 | 1 | 2 | 23:11 | 22 | 5 | 2 | 1 | 27:11 | 17 |
| 2 | შალკე 04 | 2:0 | ■ | 2:2 | | | | | 3:1 | | | 1:1 | 2:1 | 2:0 | | 2:1 | | | 4:0 | 18 | 12 | 3 | 3 | 32:18 | 39 | 6 | 2 | 0 | 18:6 | 20 | 6 | 1 | 3 | 14:12 | 19 |
| 3 | ბაიერნი | | | ■ | 2:1 | 4:2 | | 0:0 | 2:0 | | 2:1 | 2:0 | 0:1 | | 2:1 | | 1:1 | | | 18 | 10 | 3 | 5 | 32:22 | 33 | 6 | 2 | 1 | 15:7 | 20 | 4 | 1 | 4 | 17:15 | 13 |
| 4 | შტუტგარტი | | 3:0 | | ■ | | 3:0 | 0:3 | 1:3 | | | 1:1 | | | | 1:0 | 1:0 | 2:0 | | 18 | 9 | 5 | 4 | 29:23 | 32 | 5 | 1 | 2 | 12:7 | 16 | 4 | 4 | 2 | 17:16 | 16 |
| 5 | ჰერტა | | 2:0 | | 2:2 | ■ | | 2:1 | | | | 1:0 | 4:0 | 2:1 | 2:1 | 3:3 | 2:1 | | | 18 | 8 | 6 | 4 | 30:25 | 30 | 7 | 2 | 0 | 20:9 | 23 | 1 | 4 | 4 | 10:16 | 7 |
| 6 | ლევერკუზენი | | 3:1 | 2:3 | | 2:1 | ■ | | | | 3:1 | | | 1:1 | 3:0 | | | 1:2 | 1:1 | 18 | 8 | 4 | 6 | 31:26 | 28 | 4 | 2 | 2 | 16:10 | 14 | 4 | 2 | 4 | 15:16 | 14 |
| 7 | ნიურნბერგი | 1:2 | 0:0 | | 4:1 | | 3:2 | ■ | 1:1 | 1:1 | | | 3:1 | | | 1:1 | 1:0 | | 1:1 | 18 | 5 | 11 | 2 | 25:17 | 26 | 4 | 5 | 1 | 16:10 | 17 | 1 | 6 | 1 | 9:7 | 9 |
| 8 | დორტმუნდი | | | 3:2 | | 1:2 | 1:2 | | ■ | 1:1 | | | 2:2 | 1:0 | 0:0 | 1:1 | | 1:0 | 1:1 | 18 | 6 | 7 | 5 | 24:23 | 25 | 3 | 5 | 2 | 12:11 | 14 | 3 | 2 | 3 | 12:12 | 11 |
| 9 | არმინია | | 0:1 | 2:1 | 2:3 | 2:2 | 0:0 | | | ■ | 3:1 | | | 0:0 | 5:1 | | | 1:1 | 1:0 | 18 | 5 | 8 | 5 | 24:20 | 23 | 4 | 4 | 2 | 16:10 | 16 | 1 | 4 | 3 | 8:10 | 7 |
| 10 | კოტბუსი | | 2:4 | | 0:0 | 2:0 | | 1:1 | 2:3 | | ■ | 0:1 | 0:1 | | | | 3:1 | 2:2 | 2:0 | 18 | 5 | 5 | 8 | 21:25 | 20 | 3 | 3 | 4 | 14:13 | 12 | 2 | 2 | 4 | 7:12 | 8 |
| 11 | აინტრახტი | 2:6 | 1:3 | | | | 3:1 | 2:2 | 1:1 | 0:3 | | ■ | | 0:0 | | | 1:0 | 2:2 | | 18 | 4 | 8 | 6 | 23:31 | 20 | 2 | 4 | 3 | 12:18 | 10 | 2 | 4 | 3 | 11:13 | 10 |
| 12 | ჰანოვერი | 2:4 | | | 1:2 | | 1:1 | | | 1:1 | | 1:1 | ■ | | 0:3 | 0:2 | | | 1:0 | 18 | 5 | 5 | 8 | 16:29 | 20 | 1 | 3 | 4 | 7:14 | 6 | 4 | 2 | 4 | 9:15 | 14 |
| 13 | ვოლფსბურგი | | | 1:0 | 1:1 | 0:0 | | 1:1 | | | 0:0 | | 1:2 | ■ | 1:2 | | | 1:0 | | 18 | 4 | 7 | 7 | 13:18 | 19 | 2 | 4 | 2 | 6:6 | 10 | 2 | 3 | 5 | 7:12 | 9 |
| 14 | ალემანია | 2:2 | 0:1 | | 2:4 | | 2:3 | 1:1 | | | 1:2 | 2:3 | | | ■ | 2:1 | 4:2 | 3:3 | | 18 | 5 | 4 | 9 | 30:36 | 19 | 2 | 3 | 5 | 19:22 | 9 | 3 | 1 | 4 | 11:14 | 10 |
| 15 | ბოხუმი | 0:6 | | 1:2 | | | 1:3 | | | 2:1 | 0:1 | 4:3 | | 0:1 | | ■ | 2:0 | 2:1 | 0:1 | 18 | 5 | 3 | 10 | 22:31 | 18 | 4 | 0 | 6 | 12:19 | 12 | 1 | 3 | 4 | 10:12 | 6 |
| 16 | მიონხენგლადბახი | | 0:2 | | | | 0:2 | | 1:0 | 1:0 | 2:0 | | 0:1 | 3:1 | | | ■ | | 1:1 | 18 | 4 | 3 | 11 | 14:26 | 15 | 4 | 1 | 3 | 8:7 | 13 | 0 | 2 | 8 | 6:19 | 2 |
| 17 | ჰამბურგი | 1:1 | 1:2 | 1:2 | | 1:1 | | 0:0 | | 1:1 | | | 0:0 | | | | 1:1 | ■ | | 18 | 1 | 11 | 6 | 17:23 | 14 | 0 | 6 | 2 | 6:8 | 6 | 1 | 5 | 4 | 11:15 | 8 |
| 18 | მაინცი | 1:6 | | 0:4 | 0:0 | 1:1 | | | | | | 1:1 | | 1:2 | 1:3 | 2:1 | | 0:0 | ■ | 18 | 2 | 8 | 8 | 12:30 | 14 | 1 | 4 | 4 | 7:18 | 7 | 1 | 4 | 4 | 5:12 | 7 |

# სარბიელი და კრონო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 3 | პორტსმუთი-მიდლსბრო | 1.95 | 3.20 | 3.75 | 1.21 | 1.28 | 1.72 |
| 23:45 | 4 | შეფილდი-ფულემი | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| 23:45 | 5 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 5.30 | 3.50 | 1.65 | 2.10 | 1.25 | 1.12 |
| 23:45 | 6 | ვესტ ჰემი-ლივერპული 1:0 | 2.10 | 3.40 | 2.75 | | | |
| 23:45 | 9 | რედინგი-უიგანი | 1.75 | 3.40 | 4.60 | 1.15 | 1.26 | 1.95 |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 7 | ბოლტონი-ჩარლტონი | 1.50 | 3.80 | 6.50 | 1.07 | 1.21 | 2.39 |
| 23:45 | 8 | ბოლტონი-ჩარლტონი 0:1 | 2.25 | 3.40 | 2.45 | | | |
| 23:45 | 10 | ჩელსი-ბლექბერნი | 1.28 | 4.80 | 11.00 | 1.01 | 1.14 | 3.34 |
| 23:45 | 12 | მანჩესტერი-უოტფორდი | 1.13 | 6.80 | 20.00 | 1.00 | 1.06 | 5.07 |
| 23:45 | 13 | მანჩესტერი-უოტფორდი 0:1 | 1.35 | 4.30 | 5.50 | | | |
| 23:45 | 14 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 2.10 | 3.30 | 3.35 | 1.28 | 1.29 | 1.66 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 29 | ბარნსლი-ქპრ | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 23:45 | 30 | ბირმინგემი-საუთენდი | 1.39 | 4.20 | 7.20 | 1.04 | 1.16 | 2.65 |
| 23:45 | 32 | კოლჩესტერი-პრესტონი | 2.65 | 3.20 | 2.50 | 1.44 | 1.28 | 1.40 |
| 23:45 | 33 | ქოვენთრი-ლუტონი | 2.00 | 3.30 | 3.50 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| 23:45 | 34 | დერბი-ბარნლი | 1.70 | 3.30 | 4.90 | 1.12 | 1.26 | 1.97 |
| 23:45 | 35 | ჰალი-ლიდსი | 1.95 | 3.30 | 3.70 | 1.22 | 1.27 | 1.74 |
| 23:45 | 36 | ნორვიჩი-ვულვერჰემპტონი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 23:45 | 37 | სტოკი-იფსვიჩი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 23:45 | 38 | სანდერლენდი-კრ. პალასი | 1.70 | 3.50 | 4.40 | 1.14 | 1.22 | 1.94 |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 39 | ვესტ ბრომვიჩი-პლიმუთი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 23:45 | 40 | საუთჰემპტონი-უენსდი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 53 | კარლაილი-ნოტინგემი | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| 23:45 | 54 | ბრისტოლი-ჩელტენემი | 1.45 | 3.70 | 6.70 | 1.04 | 1.19 | 2.38 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 67 | ბერი-ჰერეფორდი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 23:45 | 68 | მენსფილდი-ტორკი | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 23:45 | 69 | ნოტსი-ბარნეტი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 23:45 | 70 | პიტერბრო-სუინდონი | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |
| 23:45 | 71 | რექსემი-სტოკპორტი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 23:45 | 563 | მაკლსფილდი-უოლსოლი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 23:00 | 107 | ბაიერნი-ბოხუმი | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 23:00 | 108 | ბაიერნი-ბოხუმი 0:1 | 1.65 | 3.90 | 3.60 | | | |
| 23:00 | 110 | გლადბახი-ნიურნბერგი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 23:00 | 111 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 2.05 | 3.20 | 3.50 | 1.24 | 1.29 | 1.67 |
| 23:00 | 118 | შტუტგარტი-არმინია | 1.65 | 3.60 | 4.80 | 1.13 | 1.22 | 2.05 |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:00 | 109 | ჰამბურგი-კოტბუსი | 1.80 | 3.40 | 4.20 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| 23:00 | 112 | ჰანოვერი-ჰერტა | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| 23:00 | 113 | ლევერკუზენი-ვერდერი | 2.90 | 3.30 | 2.30 | 1.54 | 1.28 | 1.35 |
| 23:00 | 115 | მაინცი-დორტმუნდი | 2.90 | 3.30 | 2.25 | 1.54 | 1.26 | 1.33 |
| 23:00 | 116 | შალკე-ალემანია | 1.30 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.10 |
| 23:00 | 117 | შალკე-ალემანია 0:1 | 1.80 | 3.60 | 3.10 | | | |
| | | ინგლისი. Carling Cup | | | | | | |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 564 | არსენალი-ტოტენჰემი | 1.75 | 3.40 | 4.60 | 1.15 | 1.26 | 1.95 |
| | | ესპანეთი. თასი | | | | | | |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 347 | ბარსელონა-სარაგოსა | 1.40 | 4.10 | 7.50 | 1.04 | 1.17 | 2.65 |
| 23:00 | 348 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| 23:00 | 349 | დეპორტივო-ვალიადოლიდი | 1.55 | 3.50 | 5.80 | 1.07 | 1.22 | 2.18 |
| | | 1 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 350 | სევილია-ბეტისი | 1.60 | 3.50 | 5.60 | 1.09 | 1.24 | 2.15 |
| | | საფრანგეთი. თასი | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 21:00 | 360 | მონაკო-სოშო | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 22:00 | 361 | მონპელიე-ვანესი | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 23:00 | 362 | ლიბურნი-სედანი | 2.90 | 2.90 | 2.40 | 1.45 | 1.31 | 1.31 |
| 23:45 | 363 | პსჟ-ვალენსიენი | 1.75 | 3.10 | 4.80 | 1.11 | 1.28 | 1.88 |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 21:15 | 364 | ნანტი-ლილი | 2.90 | 2.90 | 2.40 | 1.45 | 1.31 | 1.31 |
| 22:00 | 365 | კლერმონი-ლანსი | 5.75 | 3.50 | 1.55 | 2.17 | 1.22 | 1.07 |
| 23:45 | 366 | მარსელი-ლიონი | 2.90 | 2.90 | 2.40 | 1.45 | 1.31 | 1.31 |
| 22:00 | 367 | მონსო-ბორდო | 9.00 | 4.20 | 1.30 | 2.86 | 1.13 | 1.00 |
| | | თურქეთი. თასი | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 22:00 | 566 | ფენერბაჰჩე-გენჩლერბირლიგი | 1.30 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.94 |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 19:00 | 567 | ტრაბზონი-გაზიანთეფი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 22:00 | 568 | ბეშიქთაში-მანისა | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| | | 1 თებერვალი | | | | | | |
| 22:00 | 569 | კაისერი-გალათასარაი | 6.00 | 3.50 | 1.55 | 2.21 | 1.23 | 1.07 |
| | | შოტლანდია.თასი | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 344 | კილმარნოკი-ფოლკირკი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 345 | სტ.ჯონსტონი-ჰიბერნიანი | 5.70 | 3.60 | 1.55 | 2.20 | 1.21 | 1.08 |
| | | იტალია. თასი | | | | | | |
| | | 31 იანვარი | | | | | | |
| 23:45 | 565 | რომა-მილანი | 2.30 | 3.20 | 3.00 | 1.33 | 1.30 | 1.54 |
| | | 1 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 346 | ინტერი-სამპდორია | 1.32 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.15 | 2.90 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 22:00 | 459 | მოდო-ბრიუნესი | 2.00 | 4.20 | 2.50 | 1.35 | 1.11 | 1.56 |
| 22:00 | 460 | ფერიესტადი-იურგორდენი | 1.55 | 4.50 | 3.50 | 1.15 | 1.07 | 1.96 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 20:30 | 474 | ლუკო-სეიპა | 1.65 | 4.30 | 3.10 | 1.19 | 1.07 | 1.80 |
| 20:30 | 475 | პელიკანსი-ესეტი | 1.60 | 4.30 | 3.30 | 1.16 | 1.07 | 1.86 |
| 20:30 | 476 | ჰელსინკი-ტაპარა | 2.00 | 4.20 | 2.50 | 1.35 | 1.11 | 1.56 |
| 20:30 | 477 | ილვესი-კალპა | 1.45 | 4.30 | 4.00 | 1.08 | 1.06 | 2.07 |
| 20:30 | 478 | კერპეტი-იოკერიტი | 1.85 | 4.20 | 2.70 | 1.28 | 1.09 | 1.64 |
| 20:30 | 479 | ტურკუ-ესპოო | 2.00 | 4.20 | 2.50 | 1.35 | 1.11 | 1.56 |
| 20:30 | 480 | იუვესკიულე-ჰაამეენლინა | 2.50 | 4.20 | 2.00 | 1.56 | 1.11 | 1.35 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 20:00 | 494 | ვსეტინი-სლავია | 6.00 | 5.00 | 1.25 | 2.72 | 1.03 | 1.00 |
| 20:00 | 495 | ტრჟინეცი-ლიტვინოვი | 1.90 | 4.20 | 2.60 | 1.30 | 1.09 | 1.60 |
| 20:30 | 496 | ბუდეიოვიცე-ზნოიმო | 1.60 | 4.30 | 3.50 | 1.16 | 1.09 | 1.92 |
| 20:30 | 497 | პლზენი-კლადნო | 2.10 | 4.10 | 2.25 | 1.38 | 1.08 | 1.45 |
| 21:00 | 498 | კარლოვი ვარი-პარდუბიცე | 2.15 | 4.20 | 2.30 | 1.42 | 1.11 | 1.48 |
| 21:00 | 499 | სპარტა-ზლინი | 1.80 | 4.30 | 2.60 | 1.26 | 1.06 | 1.62 |
| 21:30 | 500 | ლიბერეცი-ვიტკოვიცე | 1.45 | 4.50 | 4.10 | 1.09 | 1.07 | 2.14 |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 20:00 | 507 | ზვოლენი-ნიტრა | 1.45 | 4.40 | 4.30 | 1.09 | 1.08 | 2.17 |
| 20:00 | 508 | მიკულაში-კოშიცე | 2.70 | 4.20 | 1.85 | 1.64 | 1.09 | 1.28 |
| 20:00 | 509 | პოპრადი-მარტინი | 1.75 | 4.30 | 3.00 | 1.24 | 1.10 | 1.76 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 510 | ტრენჩინი-სკალიცა | 1.45 | 4.50 | 4.30 | 1.09 | 1.08 | 2.19 |
| 21:00 | 511 | სლოვანი-ჟილინა | 1.22 | 5.50 | 7.00 | 1.00 | 1.03 | 3.07 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 22:00 | 522 | მანჰაიმი-დიუსელდორფი | 1.70 | 4.40 | 3.10 | 1.22 | 1.09 | 1.81 |
| 22:30 | 523 | ნიურნბერგი-იზერლონი | 1.40 | 4.50 | 4.50 | 1.06 | 1.06 | 2.25 |
| | | 1 თებერვალი | | | | | | |
| 22:30 | 524 | ინგოლშტადი-ნიურნბერგი | 1.85 | 4.30 | 2.70 | 1.29 | 1.09 | 1.65 |
| | | 2 თებერვალი | | | | | | |
| 22:30 | 525 | დიუსელდორფი-დუისბურგი | 1.20 | 5.50 | 7.00 | 1.00 | 1.02 | 3.07 |
| 22:30 | 526 | ჰანოვერი-კიოლნი | 2.10 | 4.20 | 2.30 | 1.39 | 1.09 | 1.48 |
| 22:30 | 527 | აისბარენი-ჰამბურგი | 2.05 | 4.30 | 2.35 | 1.38 | 1.09 | 1.51 |
| 22:30 | 528 | ფრანკფურტი-სტრაუბინგი | 1.42 | 4.60 | 4.60 | 1.08 | 1.08 | 2.29 |
| 22:30 | 529 | კრეფელდი-აუგსბურგი | 1.50 | 4.30 | 4.20 | 1.11 | 1.10 | 2.12 |
| 22:30 | 530 | იზერლონი-მანჰაიმი | 2.60 | 4.30 | 1.90 | 1.62 | 1.09 | 1.31 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჰოკეი. შვეიცარია | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 22:45 | 531 | დავოსი-ამბრი | 1.35 | 4.80 | 5.20 | 1.05 | 1.07 | 2.49 |
| 22:45 | 532 | რაპერსვილი-ლუგანო | 2.20 | 4.20 | 2.20 | [illegible] | 1.10 | 1.44 |
| | | 2 თებერვალი | | | | | | |
| 22:45 | 533 | სერვეტი-ბაზელი | 1.45 | 4.50 | 4.60 | 1.09 | 1.10 | 2.27 |
| 22:45 | 534 | ცუგი-ბერნი | 2.10 | 4.30 | 2.30 | 1.41 | 1.09 | 1.49 |
| 22:45 | 535 | ფრიბურგი-რაპერსვილი | 2.20 | 4.20 | 2.15 | 1.44 | 1.08 | 1.42 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 30 იანვარი | | | | | | |
| 20:00 | 544 | დინამო-ტრაქტორი | 1.60 | 4.40 | 3.00 | 1.17 | 1.04 | 1.78 |
| 18:30 | 545 | ლადა-ამური | 1.25 | 5.00 | 6.00 | 1.00 | 1.03 | 2.72 |
| 20:00 | 546 | სევერსტალი-აკ ბარსი | 2.70 | 4.30 | 1.65 | 1.65 | 1.02 | 1.19 |
| 20:00 | 547 | ნეფტეხიმიკი-მაგნიტოგორსკი | 2.40 | 4.50 | 1.85 | 1.56 | 1.04 | 1.31 |
| 20:00 | 548 | ცსკა-ხიმიკი | 2.00 | 4.20 | 2.30 | 1.35 | 1.06 | 1.48 |
| 18:00 | 549 | ს.იულაევი-სიბირი | 1.60 | 4.50 | 3.00 | 1.18 | 1.04 | 1.79 |
| 19:30 | 550 | ლოკომოტივი-კრილია | 1.05 | 7.00 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 4.42 |
| 20:00 | 551 | ასკ-ნოვოკუზნეცკი | 1.40 | 4.60 | 3.80 | 1.07 | 1.02 | 2.08 |
| 20:00 | 552 | მვდ-ავანგარდი | 2.60 | 4.30 | 1.80 | 1.62 | 1.06 | 1.26 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10003 | პორტსმუთი-მიდლსბრო | 2.40 | 2.10 | 4.30 | 1.12 | 1.54 | 1.41 |
| 10004 | შეფილდი-ფულემი | 2.95 | 2.00 | 3.35 | 1.19 | 1.56 | 1.25 |
| 10005 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 4.80 | 2.10 | 2.10 | 1.46 | 1.46 | 1.04 |
| 10007 | ბოლტონი-ჩარლტონი | 1.90 | 2.30 | 6.30 | 1.04 | 1.45 | 1.68 |
| 10009 | რედინგი-უიგანი | 2.20 | 2.10 | 5.00 | 1.07 | 1.52 | 1.47 |
| 10010 | ჩელსი-ბლექბერნი | 1.60 | 2.60 | 8.00 | 1.00 | 1.33 | 1.96 |
| 10012 | მანჩესტერი-უოტფორდი | 1.37 | 3.20 | 12.00 | 1.00 | 1.22 | 2.52 |
| 10014 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 2.55 | 2.00 | 4.00 | 1.12 | 1.55 | 1.33 |
| 10107 | ბაიერნი-ბოხუმი | 1.55 | 2.80 | 9.00 | 1.00 | 1.32 | 2.13 |
| 10109 | ჰამბურგი-კოტბუსი | 2.25 | 2.10 | 4.80 | 1.08 | 1.53 | 1.46 |
| 10110 | გლადბახი-ნიურნბერგი | 2.85 | 2.00 | 3.25 | 1.17 | 1.51 | 1.23 |
| 10111 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 2.55 | 2.00 | 3.90 | 1.12 | 1.54 | 1.32 |
| 10112 | ჰანოვერი-ჰერტა | 2.95 | 2.00 | 3.10 | 1.19 | 1.51 | 1.21 |
| 10113 | ლევერკუზენი-ვერდერი | 3.40 | 2.00 | 2.75 | 1.25 | 1.52 | 1.15 |
| 10115 | მაინცი-დორტმუნდი | 3.35 | 2.00 | 2.75 | 1.25 | 1.51 | 1.15 |
| 10116 | შალკე-ალემანია | 1.60 | 2.60 | 8.00 | 1.00 | 1.33 | 1.96 |
| 10118 | შტუტგარტი-არმინია | 2.10 | 2.10 | 5.30 | 1.04 | 1.50 | 1.50 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11003 | პორტსმუთი-მიდლსბრო | 2.85 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11004 | შეფილდი-ფულემი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11005 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11007 | ბოლტონი-ჩარლტონი | 1.90 | 15.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11009 | რედინგი-უიგანი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11010 | ჩელსი-ბლექბერნი | 1.55 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11014 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11107 | ბაიერნი-ბოხუმი | 1.50 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11109 | ჰამბურგი-კოტბუსი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11110 | გლადბახი-ნიურნბერგი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11111 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11112 | ჰანოვერი-ჰერტა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11113 | ლევერკუზენი-ვერდერი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11115 | მაინცი-დორტმუნდი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11116 | შალკე-ალემანია | 1.70 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11118 | შტუტგარტი-არმინია | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|
| 12003 პორტსმუთი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 12004 შეფილდი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 12005 ვესტ ჰემი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 12007 ბოლტონი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12009 რედინგი-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 12010 ჩელსი-ბლექბერნი | 1.90 | 1.70 |
| 12012 მანჩესტერი-უოტფორდი | 2.10 | 1.55 |
| 12014 ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 12107 ბაიერნი-ბოხუმი | 2.20 | 1.55 |
| 12109 ჰამბურგი-კოტბუსი | 1.70 | 1.90 |
| 12110 გლადბახი-ნიურნბერგი | 1.70 | 1.90 |
| 12111 ვოლფსბურგი-აინტრახტი | 1.70 | 1.90 |
| 12112 ჰანოვერი-ჰერტა | 1.90 | 1.70 |
| 12113 ლევერკუზენი-ვერდერი | 2.20 | 1.50 |
| 12115 მაინცი-დორტმუნდი | 1.70 | 1.90 |
| 12116 შალკე-ალემანია | 2.20 | 1.55 |
| 12118 შტუტგარტი-არმინია | 1.90 | 1.70 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | კი | არა |
|---|---|---|
| 13003 პორტსმუთი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 13004 შეფილდი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 13005 ვესტ ჰემი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13007 ბოლტონი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13009 რედინგი-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 13010 ჩელსი-ბლექბერნი | 1.90 | 1.70 |
| 13012 მანჩესტერი-უოტფორდი | 2.20 | 1.50 |
| 13014 ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 13107 ბაიერნი-ბოხუმი | 1.90 | 1.70 |
| 13109 ჰამბურგი-კოტბუსი | 1.70 | 1.90 |
| 13110 გლადბახი-ნიურნბერგი | 1.60 | 2.00 |
| 13111 ვოლფსბურგი-აინტრახტი | 1.70 | 1.90 |
| 13112 ჰანოვერი-ჰერტა | 1.60 | 2.00 |
| 13113 ლევერკუზენი-ვერდერი | 1.60 | 2.00 |
| 13115 მაინცი-დორტმუნდი | 1.60 | 2.00 |
| 13116 შალკე-ალემანია | 1.90 | 1.70 |
| 13118 შტუტგარტი-არმინია | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი წაგებულად ჩაითვლება)

| | | |
|---|---|---|
| 14003 პორტსმუთი-მიდლსბრო | 1.70 | 2.20 |
| 14004 შეფილდი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 14005 ვესტ ჰემი-ლივერპული | 2.40 | 1.40 |
| 14007 ბოლტონი-ჩარლტონი | 1.25 | 2.50 |
| 14009 რედინგი-უიგანი | 1.45 | 2.40 |
| 14010 ჩელსი-ბლექბერნი | 1.04 | 2.60 |
| 14014 ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.75 | 2.10 |
| 14107 ბაიერნი-ბოხუმი | 1.05 | 2.90 |
| 14109 ჰამბურგი-კოტბუსი | 1.60 | 2.30 |
| 14110 გლადბახი-ნიურნბერგი | 1.80 | 1.90 |
| 14111 ვოლფსბურგი-აინტრახტი | 1.70 | 2.20 |
| 14112 ჰანოვერი-ჰერტა | 1.90 | 1.90 |
| 14113 ლევერკუზენი-ვერდერი | 2.00 | 1.80 |
| 14115 მაინცი-დორტმუნდი | 2.00 | 1.80 |
| 14116 შალკე-ალემანია | 1.07 | 2.90 |
| 14118 შტუტგარტი-არმინია | 1.30 | 2.50 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15003 | პორტსმუთი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | შეფილდი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ბოლტონი-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | რედინგი-უიგანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ჩელსი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | მანჩესტერი-უოტფორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15107 | ბაიერნი-ბოხუმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15109 | ჰამბურგი-კოტბუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15110 | გლადბახი-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15111 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15112 | ჰანოვერი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15113 | ლევერკუზენი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15115 | მაინცი-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15116 | შალკე-ალემანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15118 | შტუტგარტი-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეში (ძირ დრო)

| | | |
|---|---|---|
| 16003 პორტსმუთი-მიდლსბრო | 1.35 | 2.80 |
| 16004 შეფილდი-ფულემი | 1.65 | 1.95 |
| 16005 ვესტ ჰემი-ლივერპული | 3.80 | 1.17 |
| 16007 ბოლტონი-ჩარლტონი | 1.10 | 4.80 |
| 16009 რედინგი-უიგანი | 1.25 | 3.20 |
| 16010 ჩელსი-ბლექბერნი | 1.03 | 8.00 |
| 16014 ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.47 | 2.35 |
| 16107 ბაიერნი-ბოხუმი | 1.01 | 8.50 |
| 16109 ჰამბურგი-კოტბუსი | 1.26 | 3.20 |
| 16110 გლადბახი-ნიურნბერგი | 1.70 | 1.90 |
| 16111 ვოლფსბურგი-აინტრახტი | 1.42 | 2.55 |
| 16112 ჰანოვერი-ჰერტა | 1.80 | 1.80 |
| 16113 ლევერკუზენი-ვერდერი | 2.10 | 1.60 |
| 16115 მაინცი-დორტმუნდი | 2.10 | 1.60 |
| 16116 შალკე-ალემანია | 1.03 | 7.50 |
| 16118 შტუტგარტი-არმინია | 1.23 | 3.45 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | |
|---|---|---|
| 17003 პორტსმუთი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17004 შეფილდი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17005 ვესტ ჰემი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17007 ბოლტონი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17009 რედინგი-უიგანი | 1.85 | 1.95 |
| 17010 ჩელსი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17012 მანჩესტერი-უოტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17014 ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17107 ბაიერნი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17109 ჰამბურგი-კოტბუსი | 1.85 | 1.95 |
| 17110 გლადბახი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17111 ვოლფსბურგი-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17112 ჰანოვერი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17113 ლევერკუზენი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17115 მაინცი-დორტმუნდი | 1.85 | 1:95 |
| 17116 შალკე-ალემანია | 1.85 | 1.95 |
| 17118 შტუტგარტი-არმინია | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# საქართველოს თასი თბილისი. ვერის ბაღი. 26-29 იანვარი

29 იანვარი

**ფინალი**

**ავიამშენი 83:79 აზოტი**

*15:20 24:13 25:17 19:29*

**ავიამშენი:** დ. ბერიშვილი (4), ხოშტარია (26), კეიდია, ბაბიაშვილი (15), სუხიშვილი (1); ი. ბერიშვილი (11 ქულა, 12 მოხსნა), ბარბაქაძე (9), ნიკოლაძე (6), როდუმტა (11)

**აზოტი:** გამყრელიძე (5), ტულუში (28), მარკოიშვილი (8), ბეჟანიშვილი (13), უგრეხელიძე (7); გოგობერიშვილი (16), ბერძენიშვილი (2), დიდია, ბოისა, ტუჯანი

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

## საჰაერო რევოლუცია

### ავიამშენის მეცხრე ცა და პირველი თასი



**გუშინ** „ავიამშენი" მართლაც რომ დაფრინავდა — თამაშის დროს მოედანზე, ნამატჩევს კი მეცხრე ცაზე. ლევან მოსეშვილის გუნდმა საქართველოს თასი მოიგო და თან მიმდინარე სეზონში ერთგვარი რევოლუცია მოახდინა — ჯერაც წაუგებელი რუსთავის „აზოტი" დაამარცხა — გუნდი, რომელსაც ამ სეზონში არც ეროვნულ ჩემპიონატში ჩაუმუხლავს, არც ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე და გუშინდელამდე თასის გათამაშებაშიც დაუმარცხებელი იყო.

გუშინ რუსთაველთა უძლეველობის მითი „ავიატორებმა" დაამსხვრიეს და თანაც უპრინციპულეს მატჩში — თასის ფინალში და მაყურებელთა იმ ნაწილს, რომლებსაც ქომაგობის იშტა გაუნელდათ, ჩემპიონი მაინც „აზოტი" გახდებაო, ინტერესი გაუმძაფრეს.

„აზოტმა" გუშინ ყველაზე ცუდად ითამაშა ამ სეზონში და ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, „ავიამშენის" წევრთა ქებული გარჯაა. რომელი ერთი გამოვარჩიოთ — ზვიად ბაბიაშვილი, რომელმაც სირენამდე ორიოდ წუთით ადრე ულამაზესი და უმნიშვნელოვანესი ბურთი ჩააგდო, პლასიდე როდუმტა, ვინაც დაცვის ბურჯს და „ავიატორთა" ფარქვეშა გარანტს წარმოადგენდა, დავით ბერიშვილი, რომელმაც ჩინებულად დაიწყო თამაში და პირველი ტაიმის ბოლოს დაშავებულმა მოედანი დატოვა, ანაც მისი ტყუპისცალი, უზადო და ბევრი პასების გამჩარხავი ვერცხლისწყალა გამთამაშებელი?!

ესენი ყველანი გმირები არიან, მაგრამ არავის ეწყინება, „ავიამშენის" კაპიტანს თუ განსაკუთრებით შევაქებთ: ირაკლი ხოშტარია მარტო იმიტომაა საქები, რომ ტრავმირებული იყო, აქამდელ მატჩებში არ გამოჩენილა და არც ფინალში აპირებდა მოედანზე გასვლას, მაგრამ მტკივანი ფეხით ბოლო წამს გადაწყვიტა თამაში და მატჩის საუკეთესოც გახდა.

26 ქულა და 12 მოხსნა სრულად ვერ ასახავს იმას, თუ რა დიდი დახმარება გაუწია ხოშტარიამ „ავიამშენს". ტყუპ ბერიშვილებთან ერთად ხოშტარა მოსეშვილის გუნდის უკანა ხაზში ყოჩაღობდა, შურდულგარღვევებსაც ახორციელებდა და საფინალო სირენამდე 18 წამით ადრე უმნიშვნელოვანესი საჯარიმოებიც მიითვალა.

მიუხედავად იმისა, რომ „ავიამშენის" უპირატესობამ მესამე მეოთხედში 20 ქულას გადააჭარბა, მოსეშვილის გუნდს თასის დაპატრონება მაინც სანერვიულო გაუხდა. „აზოტი" 43:64 აგებდა, თუმც გადამწყვეტ მეოთხედამდე დარჩენილი ორი წუთი 7:0 ჩაითამაშა და ბოლო შესვენებაზე იმედიანად გავიდა.

სანამ ბოლო ათწუთეულზე მოვყვებით, ისიც ვთქვათ, თუ როგორ მოიპოვა „ავიამშენმა" ასეთი სოლიდური უპირატესობა. მოსეშვილმა ხუთეულში შედარებით გამოუცდელი ლადო სუხიშვილი გაამწესა, რომელმაც დიდი წინააღმდეგობა გაუწია რუსთაველთა გოლიათ ცენტრ დავით უგრეხელიძეს, თუმც კოტე ტულუშისა და რამაზ გოგობერიშვილის მიზნის წყალობით „აზოტმა" საწყისი მეოთხედი მაინც მოიგო — 20:15.

მეორე მეოთხედი „ავიამშენმა" მძლავრად დაიწყო. ორივე გუნდმა ცენტრი გამოცვალა, თუმც თბილისელთა მთავარმეფარე პლასიდე როდუმტამ პირწმინდად დაჯაბნა დავით ბერძენიშვილი, ხოლო უკანა ხაზში „ავიატორები" ისედაც ყოჩაღობდნენ. დავით და ირაკლი ბეროშვილები თვალდახუჭული უგებდნენ ერთმანეთს, თავადაც აგდებდნენ, სხვებსაც აგდებინებდნენ და თბილისელებმა საგრძნობი უპირატესობა.

პირველი ტაიმის დასრულებას წუთი აკლდა, როცა დავით ბერიშვილმა მუხლი იტკინა და მოედანი დატოვა. ბევრს ეგონა, რომ ტყუპისცალის გამოკლება „ავიატორთა" საათივით აწყობილ უკანა ხაზს დააქუცმაცებდა, მაგრამ შესვენების შემდეგ პირიქით მოხდა.

მის ნაცვლად გამოსულმა გიორგი ნიკოლაძემ ირაკლი ბერიშვილთან კარგი ტანდემი შექმნა და ისედაც აჭრილი „აზოტი" მთლად ბრინჯივით დაიბნა.

იმ ეპიზოდსაც მივადექით, როცა რუსთაველები ცოტა გონს მოეგნენ და გადამწყვეტი მეოთხედის დაწყებამდე 21-ქულიანი ჩამორჩენა 14-მდე ჩამოყვანეს. რუსთაველებს რაიმე განსაკუთრებული არ გაუკეთებიათ, მაგრამ მერე სროლა წაუვიდათ და სულ რაღაც 4 წუთში დეფიციტი ქულამდე შეამცირეს — 71:72 თამაშის დამთავრებამდე სამწუთნახევრით ადრე.

„ავიამშენმა" შარშან თასი თსუსთან დასანანად წააგო, არადა ერთხანს 19 ქულითაც იგებდა და ყველას უნებურად ეს ამბავი გაახსენდა. მოსეშვილის გუნდი განწირული ჩანდა, თუმცა გადამწყვეტ წუთებში „ავიატორთა" ლიდერებმა — ირაკლი ხოშტარიამ, ზვიად ბაბიაშვილმა და ირაკლი ბერიშვილმა დიდი ნებისყოფა გამოავლინეს.

„აზოტს" არც ტაქტიკურმა ჯარიმებმა უშველა. ხოშტარიამ და ტყუპისცალმა ხელის აუკანკალებლად მიითვალეს ბოლო წამებზე ოქროს და თასის ტოლფასი საჯარიმო ქულები.

**ირაკლი პერტია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ეშმაკის ნასხლეტი

### ნეშმა ხალხი დააშინა

28 იანვარი

**კლივლენდი 100:115 ფინიქსი**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (30), გუდენი (19 ქულა, 14 მოხსნა), მარშალი (15)

**ფინიქსი:** ნეში (29 ქულა, 15 პასი), მერიონი (23), სტუდემაიერი (22), ბარბოსა (19), ბელი (15)

**ლეიკერსი 94:96 სან ანტონიო**

*ძირითადი დრო 80:80*

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (31), ოდომი (18 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), ბინამი (14 ქულა, 11 მოხსნა), რადმანოვიჩი (13)

**სან ანტონიო:** დანკანი (21 ქულა, 14 მოხსნა, 9 პასი), ჯინობილი (21), პარკერი (19), ფინლი (17)

**დეტროიტი 95:87 ინდიანა**

**დეტროიტი:** ჰამილტონი (21), ვოლესი (20), ვებერი (17 ქულა, 13 მოხსნა), ბილაფსი (17)

**ინდიანა:** ონილი (26 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება), ტინსლი (18)

**ბოსტონი 91:105 ვაშინგტონი**

**ბოსტონი:** ვესტი (22 ქულა, 11 პასი), გომესი (20)

**ვაშინგტონი:** ჯეიმსონი (34), არენასი (23), ბატლერი (21)

**მილუოკი 107:105 ნიუ იორკი**

**მილუოკი:** უილიამსი (30 ქულა, 10 პასი), პატერსონი (21), ბოგუტი (19)

**ნიუ იორკი:** კროუფორდი (26), ლი (19 ქულა, 14 მოხსნა), კარი (15), მარბერი (15)

**სიეტლი 76:98 კლიპერსი**

**სიეტლი:** ალენი (15)

**კლიპერსი:** ბრენდი (22), კასელი (21)

**ახლა,** როდესაც „ფინიქსმა" ზედიზედ მოიგო უამრავი მატჩი და ყველა დროის შიდასაკლუბო რეკორდი გააუმჯობესა, მოთამაშეებმა აღარ იციან, რა უყონ ამ გამარჯვებათა ჯაჭვს — გააგრძელონ და სხვათა რეკორდებსაც შეუტიონ, თუ ყოველ მატჩს, როგორც რიგითს, ისე მიუდგნენ და რეკორდებზე ფიქრს შეეშვან. ასეა თუ ისე, ძალით ხომ არ წააგებენ?! ივლიან სადამდეც შეძლებენ.

გუშინწინ მათ კიდევ ერთი მეტოქე შემუსრეს მისსავე დარბაზში. „კლივლენდი" მათ მიერ ძლეული მეოთხე ალმოსავლელი იყო ხუთ დღეში (!) და ახლა „ფინიქსს" ზედიზედ 17 მოგება უჩხრიალებს ყულაბაში. ნბა-ს ისტორიას ამაზე გრძელი დაუმარცხებელი სერია სულ 4 ახსოვს. ამ მხრივ საუკეთესო შედეგი აქვს 1971-72 სეზონის „ლეიკერსს" — ზედიზედ 33 მოგება. იქამდე „ფინიქსი" ალბათ ვერ გაძლებს. აი, მეორე ადგილამდე კი არც ისე შორია. 1970-71 სეზონში „მილუოკის" მოჯრით 20 თამაში მოუგია და „ფინიქსისთვის" კიდევ ოთხი თამაშის მოგება შეუძლებელ ამოცანად სულაც არ ჩანს. სხვა საქმეა, რამდენად სურთ თავად ფინიქსელებს ამ შედეგების დევნა.

„იცით რა, ხალხი იმაზე არ ლაპარაკობს, 72-ში რამდენი თამაში მოიგო „ლეიკერსმა", ხალხს ის ახსოვს, რომ იმ წელს ეს გუნდი ჩემპიონი გახდა" — ამბობს „სანზის" ლიდერი სტივ ნეში.

ზედიზედ მოგებებს არც გუნდის მეორე ლიდერი შონ მერიონი აქცევს დიდ ყურადღებას — „შემდეგი თამაში „მინესოტასთან" გასვლა გვაქვს და ჩვენ ამ შეხვედრას არანაირად არ ვუყურებთ, როგორც ზედიზედ მე-18 მოსაგებს, ჩვენ არ ვფიქრობთ რეკორდებზე და უაზრო მიღწევებზე. ეს რიგითი თამაშია და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, ის რომ მოვიგოთ."

კარგი, მაგრამ როდესმე ხომ უნდა წააგოს ამ გუნდმა? კვირას ძლეული „კლივლენდის" ლიდერი ლებრონ ჯეიმსი ამბობს, ამ გუნდის დამარცხება შეუძლებელიაო — „არ აქვს მნიშვნელობა, რას დაუპირისპირებ დაცვაში, ეს გუნდი მაინც ნებისმიერ კედელში იპოვის ღრიჭოს და ისე სწრაფად გააფართოებს, აზრზეც ვერ მოხვალ. არ აქვს მნიშვნელობა, როგორ და რა გზით ეცდები მის შეჩერებას, მთელი ეს ეშმაკის ნასხლეტი გუნდი ყველა შენს მცდელობას აზრს უკარგავს. თვითონ ნეში ხომ ნამდვილი გემის კაპიტანივითაა, თან ყველაფერი შეუძლია, თვითონაც აგდებს, სხვებიც იოლად გაჰყავს კარგ სასროლ პოზიციაზე. მოკლედ, ძალზე საშიში კაცია."



ამ „საშიშმა კაცმა" თავისი „საქმენი საგმირონი" ყოველდღიურ საქმიანობად აქცია. „კლივლენდთან" მან „ჩვეულებრივ გადასარევად" ითამაშა — 23 ქულა, 15 პასი და, რაც ყველაზე მეტად აფრთხობს მის მეტოქეებს, 35 წუთში ერთხელაც არ დაუკარგავს ბურთი.

**კოტე ყორშია**

ძიუდოისტებს წლეულს უმძიმესი სეზონი ელით. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მაისიდან პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირები იწყება და სერიოზული ბრძოლები გაჩაღდება. საქართველოს ნაკრები კი თავიდან კომპლექტდება და შიდა კონკურენციაც უმაღლეს დონეზეა. სანაკრებო ბირთვი უკვე გამოკვეთილია, პირველნომრობისთვის ბრძოლა ჯერაც გრძელდება და ბევრ კითხვას პასუხს თებერვალ-მარტის საერთაშორისო ტურნირები გასცემს. ქვემოთ თითოეულ წონაში ნაკრების კანდიდატებს და მათ თბილისურ ნაჭიდავებს შევეხებით

# ვის იპონი, ვის შიდო

## ხაბარელისთვის შიდა კონკურენცია არ დასრულებულა



[illegible] ფოტო

### 60 კგ

ოთხი უმსუბუქესი ჩვენებურიდან სამმა პირველივე წრეში წააგო. მხოლოდ ნესტორ ხერგიანმა შეძლო გამარჯვებით დაწყება — ცნობილ სახელიანი თურქი ფათიჰ თერიმი ჩამოიცილა, თუმცა მერე ირანელ ვაჰიდ სარლაკთან თანაბარ ბრძოლაში ბოლო წამებზე მომგებიანი ილეთი არ შეუფასეს და რეპეშაჟში გადაერთო. ბრინჯაოს შანსი შეინარჩუნა დავით ასუმბანმაც, რადგან მისი მომგები იაპონელი ჰიროაკი ჰიროაკა ვერც ნახევარფინალამდე შეაჩერა ვინმემ და ვერც მას შემდეგ. ისე მოხდა, ამ ორი ქართველის გზა რეპეშაჟის ნახევარფინალში გადაიკვეთა. უქულო ძირითადი დროის შემდეგ დამატებითში ხერგიანი პასიურობისთვის გააფრთხილეს და ასუმბანმა პირდაპირ ბრინჯაო გაინაღდა, რადგან მისი მორიგი მეტოქე, ებრაელი გალ იეკუტიელი ტურნირს ტრავმის გამო გამოეთიშა.

ხერგიანსა და ასუმბანს შორის საევროპო განაცხადში მოსახვედრად ბრძოლა უახლოეს საერთაშორისო ტურნირებზეც გაგრძელდება.

აქვე ვახსენოთ ვახტანგ ხოსიტაშვილიც, რომელმაც მსოფლიოს თასი ტრავმის გამო გამოტოვა

### 66 კგ

გასული წლის ევროპის ჩემპიონი და საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი ზაზა კედელაშვილი არათუ თავისი წონის, მთელი ნაკრების ლიდერია. ეს კედელამ მსოფლიოს თასზეც დაამტკიცა — ერთმანეთზე უკეთესი სუფთა გდებებით გაჩემპიონდა. ამასთან, უმთავრეს კონკურენტ მინდია ხომიზურს ნახევარფინალში სძლია. ამ უკანასკნელმა ბრინჯაოს მედლის მოგება მაინც მოახერხა.

სერგო ციხელაშვილი და სანდრო იაკობაშვილი კი სულაც უმედლოდ დარჩნენ, მაგრამ აუგს ვერც ერთი მათგანის ჭიდაობაზე ვერ ვიტყვით. შთამბეჭდავი გამარჯვებებით ორივემ მოაწონა მაყურებელს თავი. იაკობაშვილმა სულაც ტურნირის პირველი სენსაცია გამოაცხო — პირველსავე ბრძოლაში სომეხი ევროპის ჩემპიონი არმენ ნაზარიანი დასცა ბეჭებზე.

### 73 კგ

ტრავმირებული დავით ქვხიშვილის არყოფნაში წონის ლიდერობის მოპოვება ვერავინ შეძლო. აქ ყველაზე არათანაბარი შიდა კონკურენციაა და არათუ ევროსაგზურის, უფრო შორეული დიდი ტურნირების საგზურის ბედიც თითქმის აქედანვე გადაწყვეტილია.

მსოფლიოს თასზე მასპინძლები ყველაზე ცუდად სწორედ ამ წონაში გამოვიდნენ. ფინალს ვინ ჩივის, ბრინჯაოც სანატრელი გახდა. არადა, მესამე ადგილამდე ორ ჩვენებურს თითო გამარჯვება დააკლდა. დავით ბოდაველი და გიგა წიკლაური ნახევარფინალამდე კი მივიდნენ, მაგრამ მერე ზედიზედ ორჯერ წააგეს და საბოლოოდ მეხუთე ადგილი გაინაწილეს.

### 81 კგ

ეს წონა ბოლო წლებში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ უსუსტეს წერტილად მიიჩნევა, მაგრამ საქმე აშკარად უკეთესობისკენ მიდის. შიდა კონკურენციაში ოთხი მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის ძიუდოისტი გამოიკვეთა, რომელთა ურთიერთშეხვედრების ცქერაც ძიუდოში ჩახედული ქომაგისთვის სასურველია.

თბილისურ ტურნირზეც ყველაზე შედეგიანად სწორედ 81-კილოგრამიანებმა იჭიდავეს და რეპეშაჟის ფინალში საბა გავაშელიშვილი და გრიგოლ შინჯიკაშვილი ერთმანეთს რომ არ გადაჰყროდნენ, ეგებ სუფთა ქართული კვარცხლბეკიც გვენახა.

ამ ეტაპზე საუკეთესო ნაკრების გამოცდილი წევრი გრიგოლ მამრიკიშვილი გახდა. ალალიც იყო. ოქროს გზა ისე გაიარა, ძირითადი დრო მხოლოდ ერთხელ გამოიყენა — ნახევარფინალში, უკრაინელ სერგეი ბალაბანთან. დანარჩენ სამ შეხვედრას კი ჯამში ხუთ წუზე ცოტა მეტი დაახარჯა.

### 90 კგ

ხალხი ზურაბ ზვიადაურის ჭიდაობით უკვე მერამდენად რჩება გაწბილებული. ოლიმპიური ჩემპიონი ჩვეულ ფორმასთან ახლოსაც რომ არაა, მსოფლიოს თასის პირველსავე წრეში გამოჩნდა. ზვიადაურმა სომეხ ლაერტ ავაგიანს მხოლოდ გაფრთხილებით მოუგო, მერე კი იაპონელ იუტა იაზაკისთან შებოჭვაზე მოჰყვა. ამ ყოჩაღმა აზიელმა მოგვიანებით ოქროს მედლის მოპოვებაც მოახერხა. თან ფინალში ჩვენს კიდევ ერთ ჯილას, ირაკლი ცირეკიძეს მოუგო.

კვარცხლბეკზე ქართველთაგან მხოლოდ ცირეკიძე ავიდა და შესაბამისად, საევროპო შანსებიც სხვებზე მეტი აქვს. თუმცა მთლად უშანსოდ ზვიადაურიც რომ არაა, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა ტურნირის დასრულებისთანავე განაცხადა. შიდა კონკურენცია უახლოეს მომავალში ჩასატარებელ საფრანგეთისა და პოლონეთის საერთაშორისო პირველობებზეც გაგრძელდება. არ იქნება, აქვე მინდია ბოდაველიც არ ვახსენოთ. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ სამბისტს საპრიზო ადგილამდე ერთი გამარჯვება დააკლდა.

### 100 კგ

არც ისე დიდი ხნის ეს წონაც ერთ-ერთი უსუსტესი იყო ჩვენს ნაკრებში და ამის მიზეზად არცთუ ძლიერი შიდა კონკურენცია მიიჩნეოდა. ახლა კი ისეთი სიმჭიდროვეა, ბევრი სხვა წონა რომ ვერ დაიკვეხნის. მთავარი მიზეზი ორი ნიჭიერი ახალგაზრდა, ლევან ჟორჟოლიანი და ნოდარ მეტრეველია. ამ ბიჭებმა ასაკობრივ ტურნირებში უკვე არაერთი წარმატების მოპოვება მოასწრეს, ახლა კი ნელ-ნელა უფროსებშიც შინაურდებიან. თუმცა რაღა ნელ-ნელა...

ჟორჟოლიანის გაჩემპიონება თბილისის ტურნირის კულმინაცია გახდა. ფინალამდე ბრწყინვალე გამარჯვებებით მისულმა 22 წლის ქართველმა გადამწყვეტ ბრძოლაში თავისზე ბევრად გამოცდილ მეტოქეს, თბილისის მსოფლიოს თასის მოქმედ ჩემპიონს, იაპონელ ტაკამასა ანაის სამწუთნახევარში საოცარი იპონით მოუგო.

20 წლის მეტრეველს მხოლოდ ერთხელ დაუცდა ფეხი, იმავ იაპონელთან. იქამდე და რეპეშაჟში კი ულამაზესი ჭიდაობა აჩვენა და საბოლოოდ ბრინჯაო მოიპოვა. ბრინჯაო აილო ნაკრების გამოცდილმა წევრმა გიორგი ყიზილაშვილმაც. მასაც ანაიმ გადაუკეტა ოქროს გზა. მეოთხე ქართველი რევაზ ჩიკოიძე კი მეხუთე ადგილზე გავიდა, თუმცა მას რეპეშაჟის ფინალი ტრავმის გამო აღარ უჭიდავია.

ამ ოთხეულს ალბათ ახლო მომავალში ერთი კარგი კონკურენტიც შეემატება. მართალია, ლევან რაზმაძემ თბილისის ტურნირზე მძიმე წონაში იჭიდავა, თან წარმატებულად, მაგრამ მძიმესთვის მაინც ტანმორჩილია და სავარაუდოდ 100-ში ჩამოინაცვლებს.

### +100 კგ

მძიმე წონაში ნაკრების სამი თითქმის ტოლსწორი კანდიდატის — ზვიად ხანჯალიაშვილის, ლაშა გუჯეჯიანისა და ადამ ოქრუაშვილის შანსებზე ბევრს საუბრობენ. სწორედ ამ სამეულიდან გამოიკვეთება საევროპო შემადგენლობის წევრი. თუმცა აქვე რაზმაძეც ვახსენოთ. ამ ახალგაზრდა ბიჭმა მსოფლიოს თასი სენსაციით დაიწყო — ევროპის შარშანდელ ბრინჯაოსან ესტონელ მარტინ პადარს ერთ წუთში გაუსწორდა. ნახევარფინალში კი მსოფლიოს აზერბაიჯანელ პრიზიორს, მოვლუდ მირალიევს აჯობა.

საბოლოოდ ლევანი ვერცხლს დასჯერდა, ჩემპიონი კი ხანჯალიაშვილი გახდა. მან ფინალში 53 წამში მოამთავრა საქმე. იქამდე ზვიადმა სამი ბრძოლა ჩაატარა და სამივე წმინდად მოიგო. ოქრუაშვილმა ბრინჯაო ირგუნა. გუჯეჯიანს კი მხოლოდ ერთხელ მოუხდა ტატამზე გასვლა. იაპონელ კატაბუჩისთან მარცხის შემდეგ ამ უკანასკნელის წაფორხილების გამო რეპეშაჟის შანსიც აღარ მიეცა.

უახლოესი საერთაშორისო ტურნირი 10-11 თებერვალს, პარიზში ჩასატარებელი მსოფლიოს სუპერთასია. მასზე საქართველოს ნაკრები სავარაუდოდ ორი შემადგენლობით გამოვა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# პირველი პირველი

**საქართველოს** ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა საერთაშორისო სეზონი გამარჯვებით გახსნა. ამ უქმეებზე ფრანგულ კრეტეიში ტრადიციულ პირველობაზე ათზე მეტი ნაკრები შეიკრიბა, მათ შორის საქართველოს ცხრაკაციანი გუნდიც. ბეგი დარჩიას შეგირდები შინ ოთხი მედლით და გუნდური პირველი ადგილით ბრუნდებიან.

საუკეთესო შედეგი რამაზ ნოზაძემ (96კგ) აჩვენა. ოლიმპიურმა ვიცე-ჩემპიონმა ახლახან მოგებულ ბათუმურ ოქროს კრეტეულიც მიამატა. მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონმა დავით ბედინაძემ (60კგ) და გენადი გოგიაშვილმა (74კგ) ფინალები წააგეს. მძიმეწონოსანი რევაზ ჭელიძე კი მესამე ადგილზე გავიდა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# მარგველაშვილი ფრანგს საფრანგეთში ეჩხუბება

**საქართველოში** მუშტმაგარი და ჯანიანი ვაჟკაცების ნაკლებობა არასდროს ყოფილა და ახლაც ასეა. ჩვენში იმდენი მოკრივე მოგვროვდა, რომ სამოყვარულო რინგზე ვეღარ ეტევიან და პროფესიონალების ამქარს ავსებენ.

ახლა აქ აღარ მოვყვებით რამდენი პროფესიონალი ქართველი მოკრივე მდგარა რინგზე და არც მათი ქამრების ჩამოთვლას დავიწყებთ. ეს შესავალი იმიტომ დაგვჭირდა, რომ ერთ დროს ერთ-ერთი ვერსიით პროფესიონალთა საჩემპიონო ქამრის მფლობელმა გიორგი კანდელაკმა საქართველოს პროფესიონალ მოკრივეთა ფედერაცია დაარსა და ჩვენიანებს ნელ-ნელა უკვალავს გზას დიდი რინგისკენ. ერთ-ერთი ასეთი ნუგზარ მარგველაშვილია, ვინც მსოფლიოს უძლიერეს მოკრივეებს შორის დამკვიდრებას ევროპიდან ცდილობს.

3 თებერვალს 21 წლის მარგველაშვილი ფრანგულ ტულონში ევროპული ABF-ის ვერსიით საჩემპიონო ქამრისთვის იბრძოლებს. ჩვენიანის მეტოქე იტალიური წარმოშობის ფრანგი სტეფანი ბენიტო იქნება, ვისაც პროფესიულ რინგზე 37 ბრძოლა გაუმართავს, აქედან 20 მოუგია, 14 წაუგია და სამი ფრედ დაუსრულებია. ნუგზარ მარგველაშვილმა კი მხოლოდ 20 ბრძოლის გამართვა მოასწრო და ყველა მოიგო. ქართველი მოკრივე მსოფლიო რეიტინგში ახლა 146-ე ადგილზეა, ევროპაში კი 33-ე საფეხურზეა იმყოფება.

მარგველაშვილის და ბენიტოს ბრძოლა 12-რაუნდიანი იქნება.



საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სახელოვანი ვეტერანი მოფარიკავე, მელბურნის ოლიმპიური თამაშების მონაწილე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ღირსების ორდენის კავალერი

**რევაზ ცირეკიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს



უიმბლდონი -2003 ავსტრალია -2004 უიმბლდონი -2004 აშშ -2004 უიმბლდონი -2005 აშშ -2005 ავსტრალია -2006 უიმბლდონი -2006 აშშ -2006 ავსტრალია -2007

როჯერ ფედერერის ათი სლემტიტული

# ნიჭი, შრომა და მოტივაცია

## დიდი კაცის დიდი მიზანი: დიდი სლემი

**„ის უკვე მომწიფდა საიმისოდ, რომ ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელად იქცეს. მის თამაშში ფაქტობრივად ნაკლი აღარ შეიმჩნევა" — ასე დაახასიათა როჯერ ფედერერი ლეგენდარულმა შვედმა ჩოგბურთელმა მატს ვილანდერმა. „მხიარულმა როჯერმა" უკვე მერამდენედ აღაფრთოვანა მთელი საჩოგბურთო სამყარო — ალპელმა ამჯერად კენ როზუელის 1971 წლის მიღწევა გაიმეორა და მელბურნში სეტისწაუგებლად იმარჯვა. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ დიადი შვეიცარიელი უკვე ბოლომდეა დარწმუნებული საკუთარ ძალებში და ამაზე ხმამაღლა საუბრობს კიდეც, რაც ამ ინტერვიუდანაც ჩანს**

— ალბათ უკვე მიეჩვიეთ გამარჯვებულის რანგში ყოფნას?

— თუ იმას გულისხმობთ, რომ ეს შეგრძნება მომბეზრდა, ძალიან ცდებით. იმდენი ჯერ არ მომიგია, გამარჯვებით ტკბობა ვერ შევძლო.

— მაინც რის ხარჯზე დაამარცხეთ გონსალესი?

— ჯერ იმით დავიწყოთ, რომ ფერნანდომ ძალიან მოუმატა და გარკვეულწილად სტილიც შეიცვალა — დიდებულად უტევს უკანა ხაზიდან, მის ფორჰენდს ხომ ამ ორი კვირის განმავლობაში ვერავინ გაუმკლავდა. ვიცოდი, რომ რთული მატჩი იქნებოდა და შეხვედრის წინ საკუთარ თავს ასე ვამხნევებდი — გახსოვდეს, ცხრიდან ცხრა მოუგე, ესე იგი, შენს თამაშს თავს თუ მოახვევ, ისევ გაგიმართლებს-მეთქი. მოკლედ, ვცდილობდი, მაქსიმალურად აგრესიული ვყოფილიყავი და მეტოქისთვის მისი თამაშის საშუალება მომესპო. მთლიანობაში ეს გამომივიდა და მიუხედავად ძალიან თანაბარი თამაშისა, გამარჯვება მე დამრჩა, რითაც უაღრესად ვამაყობ.

— ამას ცოტა ვინმე თუ მოახერხებდა, არა?

— ალბათ კი, რადგანაც გონსალესს არსენალში ყველანაირი დარტყმა აქვს და მუდმივად კონცენტრირებული უნდა იყო. მან ბლომად პრობლემები შემიქმნა, განსაკუთრებით პირველ სეტში, რომელიც წესით უნდა მოეგო კიდეც. თუმც მე შევძელი სეტის შემობრუნება და ალბათ ეს გადამწყვეტი მომენტი იყო.

— ბევრისთვის მოულოდნელად, ხშირად მის ფორჰენდზე თამაშობდით, არადა, ეს თქვენი მეტოქის უმთავრესი იარაღი იყო...

— ალბათ ვერ შეამჩნიეთ, რომ უმეტესად ამას იძულებით ვაკეთებდი. სხვა საქმეა, როცა მისგან მარცხნივ ვახერხებდი თამაშის გადატანას — ამ შემთხვევაში შეტევაზე მე ვიყავი. თუმც ხანდახან ფორჰენდზე ძალით ვუგდებდი, რომ მოულოდნელობის ეფექტი გამომეყენებინა. მოკლედ, ბედნიერი ვარ იმით, რომ საჭირო მომენტებში საჭირო ტაქტიკა გამოვიყენე.

— **ტურნირის სეტისწაუგებლად მოგება რაიმე განსაკუთრებულს ნიშნავს თქვენთვის?**

— დიდი ხნის წინ დამყარებული რეკორდების გამეორება უდავოდ ძალიან კარგია, მაგრამ სეტწაუგებლად რომელიმე სლემტურნირის მოგება არასდროს მიქცევია თვითმიზნად. ერთადერთი, რაც მაღელვებს ხოლმე, ეს მორიგი ტიტულის მოგებაა, თუნდაც ის მეტოქეს მეხუთე სეტში, 20:18-ზე გამოვგლიჯო. სანამ ვიგებ, რა მნიშვნელობა აქვს, როგორ მოვახერხებ ამის გაკეთებას.

თუმც ახლა შემიძლია, ვთქვა, რომ ეს მართლაც დიდებული შედეგია.

— **სულ უფრო ხშირად გიწოდებენ „გენიოსს". რას ნიშნავს ეს სიტყვა თქვენთვის?**

— რაკი შემიძლია სხვების დამარცხება მაშინაც კი, როცა საუკეთესო ფორმაში არა ვარ, გენიოსს ალბათ ამიტომ მეძახიან.

— **ნიჭი თუ შრომა?**

— ორივე.

— **პირველი სეტი გადამწყვეტი მომენტი იყო?**

— ძნელი სათქმელია. შეიძლება კი და შეიძლება არა. კი იმიტომ, რომ სეტის მოგების შემდეგ ჩემი მეტოქე ალბათ უფრო თავისუფლად იგრძნობდა თავს, ჩემზე კი ზეწოლა გაძლიერდებოდა. მეორეს მხრივ, ერთი პარტიის წაგება წელში ნამდვილად არ გამტეხდა. მატჩის დროსაც ეს გავიფიქრე — სეტ-პოინტები აქვს, მატჩ-პოინტები ხომ არა მეთქი, ასე რომ ერთი ან თუნდაც ორი პარტიის წაგების უფლება მქონდა. მე თავიდანვე ურთულეს შეხვედრას ველოდი, რადგანაც სლემტურნირის ფინალის იოლად მოგება არ ხერხდება.

— **უკვე აპირებთ სათიხნარო სეზონისთვის მზადების დაწყებას?**

— არა, რას ლაპარაკობთ. ამას მხოლოდ მაიამის მასტერსის შემდეგ გავაკეთებ.

— **თქვენი მიღწევებიდან ყველაზე მეტად რომელს გამოყოფდით?**

— ალბათ მოგებული სლემტურნირების რაოდენობას. მართლა მაშინებს ის სისწრაფე და ის დრო, ეს ათი მეიჯორი რომ დავაგროვე. ფინალის დღეს რომ გავიღვიძე, ამაზე მაშინ ვფიქრობდი. ვინმეს 2003 წლის შუაში რომ ეთქვა, 2007-ის დასაწყისისთვის ათი სლემტურნირი გექნება მოგებულიო, არც ერთ შემთხვევაში არ დავუჯერებდი. ეგ კი არა, ერთზეც თანახმა ვიქნებოდი.

კიდევ რეიტინგის სათავეში გატარებული კვირების რაოდენობას გავიხსენებდი — მალე ჯიმი კონორსის მაჩვენებელს გავუსწრებ. ეს ორი უდიდესი მიღწევაა.

— **როგორ ფიქრობთ, ასეთი მატჩების ყურების შემდეგ ბავშვები არ მოგბაძავენ? — კერძოდ ბექჰენდების ერთი ხელით შესრულებას?**

— იმედი მაქვს, რომ კი. თავის დროზე ჩემზე ბეკერისა და ედბერგის თამაშმა იქონია უდიდესი გავლენა. ასე რომ, დიდი მადლობა მათ მათი სათამაშო სტილისთვის. ორივეს დიდებული ბექჰენდი ჰქონდა. ამიტომ ახლა იმედი მაქვს, სხვებიც დაიწყებენ ბექჰენდებზე ერთი ხელით დარტყმაზე ვარჯიშს. მე მხოლოდ ასე შემიძლია ამ დარტყმის შესრულება. მგონი, უფრო ლამაზადაც ჩანს გვერდიდან.

— **დიდ სლემს რომ არ შევეხოთ, არ შეიძლება?**

— სლემზე რა გითხრათ და იმასთან კი ახლოს ვარ, რომ ზედიზედ ოთხი მეიჯორი მოვიგო. მაგრამ მთავარი ისევ „როლან გაროსი" იქნება. შარშან მორიგი ნაბიჯით წავიწიე ამ მიმართულებით. ვგულისხმობ იმას, რომ მანამდე ნახევარფინალში ვიყავი, შარშან კი ფინალში გავედი. თან რაფასაც (ნადალი) თანაბრად ვებრძოლე თიხნარზე. ასე რომ, წლეულს ძალიან საინტერესო საფრანგეთის ღია პირველობა იქნება. დიდი იმედი მაქვს, რომ იქ ყველაფერი ჩემ სასარგებლოდ განვითარდება და ამ ტიტულსაც მოვიგებ. ეს ოცნების ასრულება იქნება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებ შარშანდელი შედეგების გაუმჯობესებას — სხვანაირად არ გამოდის.

— **დიდი სლემის შესრულება მიუღწეველი არ გეჩვენებათ?**

— ვნახოთ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ყველაფერს გავიღებ ამისათვის. შარშანაც ხომ მხოლოდ ერთი ნაბიჯი დამაკლდა. თუმც ამის მიღწევა ურთულესი იქნება — სამ საფარზე სამი მეიჯორის მოგება თითქმის შეუძლებელია. თუ ეს ვერ მოვახერხე, ტრაგედია ნამდვილად არ იქნება. ამ მოგებული ტიტულითაც კმაყოფილი ვარ და წლეულს სხვაგანაც რომ ვერ ვიმარჯვო, ამ სეზონს მაინც წარმატებულად ჩავთვლი.

— **მოტივაცია ძველებურად ძლიერი გაქვთ?**

— რა თქმა უნდა. ამ მხრივ პრობლემები არასოდეს მქონია. თან ახლა საკმარისად გამოცდილი ვარ საიმისოდ, რომ კარგად გავთვალო საკუთარი მომზადების დონე. უკვე მშვენივრად ვიცი, სად ღირს თამაში და სად არა. გრაფიკი კარგად მაქვს შედგენილი და დარწმუნებული ვარ, თუ დამჭირდა, ხუთსეტიან ჯახებსაც ბოლომდე გავუძლებ. მოტივაციის ნაკლებობა კი პრობლემა არ არის.

— **როგორ ფიქრობთ, დაუმარცხებელი ხართ? შეუძლებელია თქვენ წინააღმდეგ თამაში?**

— ძნელი საპასუხოა. სხვის ადგილზე უბრალოდ გამიკვირდებოდა, ერთი და იგივე კაცი როგორ ახერხებს ამდენის მოგებას-მეთქი. მახსოვს, როცა მე დავიწყე ადმასვლა, მაშინ ლეიტონ ჰიუიტი იყო ნომერ პირველი თითქმის ორი წლის განმავლობაში. მაშინ ვფიქრობდი, ლეიტონის მომგები არავინაა და ალბათ ყოველთვის პირველი იქნება-მეთქი. ვფიქრობ, სხვებიც დაახლოებით ასე მიყურებენ.

— **ბიორნ ბორგივით 26 წლის ასაკში ხომ არ აპირებთ ჩოგბურთიდან წასვლას?**

— ეჭვი მეპარება, ასეთი იდეა მომივიდეს თავში. ერთხელ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ძალიან მინდა 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადაზე უიმბლდონის კორტებზე ვითამაშო. ეს ჩემი ერთ-ერთი მიზანია. იმედი მაქვს, სლემტურნირების მოგებასაც გავაგრძელებ. თან ახლა, როცა პიტის (სამპრასი) რეკორდამდე ოთხი ტიტულიღა მაკლია.

ჭადრაკი

ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ჰოლანდია. 12 — 28 იანვარი

XIII ტური

| | | |
|---|---|---|
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 1:0 | სერგეი ტივიაკოვი (ჰოლანდია) |
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 1:0 | ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | დავიდ ნავარა (ჩეხეთი) |
| პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) | 0:1 | სერგეი კარიაკინი (უკრაინა) |
| რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 0,5:0,5 | ალექსანდრ მოტილევი (რუსეთი) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0,5:0,5 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) |

# ბულგარელმა აზერბაიჯანელი და სომეხი შეიამხანაგა

## კრამნიკი ტუალეტს ვერც ჰოლანდიაში აცდა

**მერვე ტურში** ლევონ არონიანთან წაგების შემდეგ თეიმურ რაჯაბოვმა ლიდერობა დაკარგა და წინ ვესელინ ტოპალოვი გაუშვა. მიუხედავად ამისა, 19 წლის აზერბაიჯანელმა ყურები არ ჩამოყარა და დაიქადნა, აი, ნახავთ, მალე ძველი პოზიცია თუ არ დავიბრუნოო. ჭაბუკმა სიტყვა საქმედ მალევე აქცია და საბოლოოდ ორ დიდოსტატთან ერთად პირველზე გავიდა. რაჯაბოვთან ერთად სუპერტურნირი 8,5-8,5 ქულით არონიანმა და ტოპალოვმაც მოიგო.

ბოლო ტურში ერთმანეთს რაჯაბოვი და ტოპალოვი დაუპირისპირდნენ. პარტიის დაწყებამდე აზერბაიჯანელი ვლადიმირ კრამნიკს ტუალეტში შეხვდა, თუმც იქ რა ილაპარაკეს ჩვენთვის უცნობია.

მეტოქეებმა კატალონიური დებიუტი გაითამაშეს, ჯერ ხელმწიფეები დააბინავეს და იერიშებს შემდეგ შეუდგნენ. ტოპალოვმა ლაზიერის ფლანგიდან შეუტია თეთრებს, ორი პაიკი გაუცვალა და მეფის მხრიდან მხედარი გამოაჭენა. ფრთხილად თამაშობდა რაჯაბოვი — ამჯერად მან თავის ტრადიციას უღალატა, წინ წასვლას მოერიდა და უკანა ფლანგის გაძლიერებას შეუდგა. ბევრი ტოპალოვსაც არ უწვალია, კუთი აზერბაიჯანელის ლაზიერს სვლები სამჯერ გაამეორებინა და 26-ე სვლაზე ყაიმს გამორჩა.

თავის შანსი გამოიყენა არონიანმა. პირველ ადგილზე გასასვლელად სომეხ დიდოსტატს უცილობლად მოგება სჭირდებოდა და მანაც დავალება პირნათლად შეასრულა — მასპინძელ სერგეი ტივიაკოვთან შეხვედრაში თავიდანვე გაცვლებს მიმართა, ჰოლანდიელს ყველა შეტევა ჩაუფუშა და 43-ე სვლაზე დაამარცხა.

სუპერტურნირი წაუგებლად დაასრულა კრამნიკმა. მსოფლიოს ჩემპიონმა სამი პარტია მოიგო, ათჯერ ყაიმი ითამაშა და რვა ქულით მეოთხე ადგილს დასჯერდა.

**ლუკა გეგეჭკორი**

საბოლოო ვითარება

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვესელინ ტოპალოვი | 8,5 |
| 2. | თეიმურ რაჯაბოვი | 8,5 |
| 3. | ლევონ არონიანი | 8,5 |
| 4. | ვლადიმირ კრამნიკი | 8,0 |
| 5. | ვიშვანათან ანანდი | 7,5 |
| 6. | პიოტრ სვიდლერი | 7,0 |
| 7. | დავიდ ნავარა | 6,5 |
| 8. | სერგეი კარიაკინი | 6,5 |
| 9. | რუსლან პონომარიოვი | 6,0 |
| 10. | სერგეი ტივიაკოვი | 5,0 |
| 11. | ლუკ ვან ველი | 5,0 |
| 12. | ალექსანდრ მოტილევი | 5,0 |
| 13. | მაგნუს კარლსენი | 4,5 |
| 14. | ალექსეი შიროვი | 4,5 |




# სარეიტინგო ადი-ჩადი

**ავსტრალიის** ღია პირველობის დასრულებისთანავე ჩოგბურთელთა მორიგი რეიტინგები გამოქვეყნდა. კაცებში უდიდესი უპირატესობით როჯერ ფედერერი ლიდერობს, ხოლო ქალთა შორის წინ მარია შარაპოვაა, რომელმაც ავსტრალიაში არჩასულ ჟუსტინ ენინსა და სეზონის პირველ სლემტურნირზე უხეიროდ მოთამაშე ამელი მორესმოს გადაასწრო. მელბურნის ტრიუმფატორმა სერენა უილიამსმა 81-ე პოზიციიდან ერთბაშად მეთოთხმეტეზე აინაცვლა და საჩემპიონო რბოლაში კი, ბუნებრივია, პირველი ადგილი დაიკავა.

ქართველების საქმე ასეა: კაცებში ირაკლი ლაბაძე 250 სარეიტინგო ქულით 170-ე საფეხურზე იმყოფება, ხოლო ლადო ჩიხლაძე 47 ქულით 54-ეა. ქალთა კლასიფიკაციაში კი ცხრა ჩვენებურია. ყველაზე მაღლა, 146-ე ადგილზე 199,5 ქულით მაკა ჩახნაშვილია, 76,75 ქულით 295-ე პოზიცია უკავია ანა ტატიშვილს. სოფო მელიქიშვილი 59 ქულით 338-ე საფეხურზეა. სალომე დევიძე (25,5 ქულა) 540-ეა, სოფო შაფათავა (15,25) — 689-ე, ეკა გორგოძე (12) — 776-ე, მანან შაფაქიძე (8,25) — 898-ე, თეონა ცერცვაძე (5,25) — 1114-ე, ხოლო მარიამ ქურდაძეს 2,75 ქულით 1359-ე ადგილი უჭირავს.

მოგეხსენებათ, გასულ კვირაში ჩვენებურთაგან ITF-ის ტურნირებზე ორნი - ჩიხლაძე და ჩახნაშვილი თამაშობდნენ და ორივე მეოთხედფინალში დამარცხდა — ლადო ავსტრიულ ზალცბურგში, ხოლო მაკა — იტალიურ კაპრიოლიში.

ამ კვირაშიც, ჩვენი ყურადღება ისევ ჩიხლაძისა და ჩახნაშვილისკენ იქნება მიპყრობილი. მათ ადგილმდებარეობა არ შეუცვლიათ — ლადო კვლავაც ზალცბურგშია და მორიგი იქაური შეჯიბრის განთესილთა შორის იქნება, ხოლო მაკა იტალიურ ორტიეზში საკმაოდ წარმომადგენლობით, 75 ათასიან ტურნირში სცდის ბედს.

# კაცები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 8120 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 4775 |
| 3. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2825 |
| 4. ენდი როდიკი (აშშ) | 2715 |
| 5. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2710 |
| 6. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2605 |
| 7. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2555 |
| 8. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 2325 |
| 9. ტომი ჰაასი (გერმანია) | 2155 |
| 10. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 2075 |
| 11. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1995 |
| 12. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1785 |
| 13. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 1675 |
| 14. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1650 |
| 15. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1610 |
| 16. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1580 |
| 17. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1335 |
| 18. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი) | 1325 |
| 19. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 1320 |
| 20. დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) | 1230 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 200 |
| 2. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 140 |
| 3-4. ტომი ჰაასი (გერმანია) | 90 |
| 3-4. ენდი როდიკი (აშშ) | 90 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 75 |
| 6. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 74 |
| 7-12. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 65 |
| 7-12. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 65 |
| 7-12. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 65 |
| 7-12. მარდი ფიში (აშშ) | 65 |
| 7-12. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 65 |
| 7-12. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 65 |
| 13. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 53 |
| 14. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 51 |
| 15. კარლოს მოია (ესპანეთი) | 40 |
| 16. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 38 |
| 17. ქსავიე მალისი (ბელგია) | 36 |
| 18. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 33 |
| 19. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 30 |
| 20-22. მარკოს ბაღდადისი (კვიპროსი) | 27 |
| 20-22. კრის გუჩიონე (ავსტრალია) | 27 |
| 20-22. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 27 |

# ქალები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. მარი შარაპოვა (რუსეთი) | 3918 |
| 2. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 3311 |
| 3. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2900 |
| 4. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 2577 |
| 5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2554 |
| 6. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 2139 |
| 7. ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) | 2057 |
| 8. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2013 |
| 9. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1782 |
| 10. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1558 |
| 11. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1544 |
| 12. დინარა საფინა (რუსეთი) | 1547 |
| 13. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1470 |
| 14. სერენა უილიამსი (აშშ) | 1269 |
| 15. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1209 |
| 16. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1160 |
| 17. ნა ლი (ჩინეთი) | 1106 |
| 18. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 988 |
| 19. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 950 |
| 20. ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) | 944 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1030 |
| 2. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 725 |
| 3. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 700 |
| 4. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 575 |
| 5. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 445 |
| 6. შაჰარ პირი (ისრაელი) | 385 |
| 7. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 665 |
| 8. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 351 |
| 9. ნა ლი (ჩინეთი) | 285 |
| 10. ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) | 265 |
| 11. დინარა საფინა (რუსეთი) | 231 |
| 12. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 221 |
| 13. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 210 |
| 14. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 195 |
| 15. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 180 |
| 16-17. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 175 |
| 16-17. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 175 |
| 18. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 156 |
| 19. ტატიანა გარბინი (იტალია) | 155 |
| 20. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 141 |

ჰოკეი

# რეგულარული ჩემპიონატი

28 იანვარი

**ჩიკაგო 4:3 კალგარი**

*1:0 1:2 1:1 1:0 (ოვერტაიმი)*

1:0 ვიშნევსკი (10), 2:0 ჰემილტონი (23), 2:1 ლენგკოუ (32), 2:2 ჰუსელიუსი (34), 2:3 ტანგეი (57), 3:3 არხიპოვი (60), 4:3 არხიპოვი (63)

**ანაჰაიმი 4:1 დალასი**

*2:0 0:0 2:1*

1:0 მაკდონალდი (10), 2:0 პენერი (10), 2:1 ლეჰტინენი (48), 3:1 მაკდონალდი (50), 4:1 სელიანე (51)

**ატლანტა 1:2 ფილადელფია**

*1:0 0:1 0:1*

1:0 კოვალჩუკი (12), 1:1 კარტერი (32), 1:2 კარტერი (59)

**დეტროიტი 3:1 კოლორადო**

*0:0 1:0 2:1*

1:0 დაციუკი (30), 2:0 ჰოლმსტრომი (55), 2:1 შჩასტნი (55), 3:1 მოლტბი (59)

**ვანკუვერი 3:1 სან ხოსე**

*0:0 2:1 1:0*

0:1 პაველსკი (22), 1:1 პიატი (33), 2:1 დ. სედინი (35), 3:1 მორისონი (60)

## აღმოსავლეთ კონფერენცია

| | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკი** | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 50 | 30 | 15 | 5 | 130:115 | 65 |
| პიტსბურგი | 48 | 23 | 17 | 8 | 162:153 | 54 |
| რეინჯერსი | 49 | 24 | 21 | 4 | 142:148 | 52 |
| აილენდერსი | 49 | 23 | 21 | 5 | 146:144 | 51 |
| ფილადელფია | 49 | 12 | 32 | 5 | 117:185 | 29 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ბუფალო | 51 | 33 | 14 | 4 | 190:151 | 70 |
| ოტავა | 51 | 29 | 20 | 2 | 174:139 | 60 |
| მონრეალი | 50 | 27 | 18 | 5 | 147:144 | 59 |
| ტორონტო | 50 | 23 | 21 | 6 | 163:169 | 52 |
| ბოსტონი | 47 | 22 | 21 | 4 | 137:173 | 48 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ატლანტა | 52 | 28 | 16 | 8 | 160:156 | 64 |
| კაროლინა | 52 | 26 | 20 | 6 | 162:164 | 58 |
| ტამპა | 51 | 26 | 23 | 2 | 161:160 | 54 |
| ვაშინგტონი | 50 | 21 | 22 | 7 | 158:177 | 49 |
| ფლორიდა | 51 | 19 | 22 | 10 | 147:163 | 48 |

## დასავლეთ კონფერენცია

| | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრალური** | | | | | | |
| ნეშვილი | 51 | 36 | 12 | 3 | 182:129 | 75 |
| დეტროიტი | 51 | 31 | 14 | 6 | 153:121 | 68 |
| სენტ ლუისი | 50 | 20 | 22 | 8 | 128:154 | 48 |
| კოლუმბუსი | 50 | 20 | 25 | 5 | 126:153 | 45 |
| ჩიკაგო | 50 | 18 | 25 | 7 | 124:156 | 43 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ვანკუვერი | 50 | 28 | 19 | 3 | 129:126 | 59 |
| კალგარი | 49 | 26 | 17 | 6 | 151:127 | 58 |
| მინესოტა | 51 | 26 | 21 | 4 | 140:132 | 56 |
| კოლორადო | 49 | 24 | 21 | 4 | 153:144 | 52 |
| ედმონტონი | 50 | 24 | 22 | 4 | 136:146 | 52 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| ანაჰაიმი | 51 | 31 | 12 | 8 | 171:131 | 70 |
| სან ხოსე | 50 | 33 | 17 | 0 | 155:114 | 66 |
| დალასი | 50 | 29 | 19 | 2 | 133:124 | 60 |
| ფინიქსი | 50 | 23 | 25 | 2 | 140:175 | 48 |
| ლოს ანჯელესი | 52 | 17 | 29 | 6 | 144:188 | 40 |

*თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები*

ბომბარდირები: სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 78 (25+53); ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 68 (31+37); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 66 (30+36); დენი ჰითლი (ოტავა) 65 (30+35); მარიან ჰოსა (ატლანტა) 65 (31+34); ვინსენ ლეკავალიე (ტამპა) 65 (30+35); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 62 (14+48); მარკ სავარი (ბოსტონი) 62 (18+44); ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი) 61 (31+30); იარომირ იაგრი (რეინჯერსი) 61 (19+42); დანიელ ბრიარი (ბუფალო) 60 (18+42).

გოლეადორები: ჰოსა, ოვეჩკინი, სელიანე 31-31; ლეკავალიე, ჰითლი, სენ ლუი 30-30; ალექსანდრ სიომინი (ვაშინგტონი) 29; ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 27; ჯასტინ უილიამსი (კაროლინა), კრის დრური (ბუფალო) 26-26; რაიან სმითი (ედმონტონი), ალექსანდრ ფროლოვი (ლოს ანჯელესი), ბრაიან როლსტონი (მინესოტა), კროსბი, ჯეისონ ბლეიკი (აილენდერსი) 25-25.

ასისტენტები: კროსბი 53; ტორნტონი 48; სავარი 44; იაგრი, ბრიარი 42-42; ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი) 41; როდ ბრინდამორი (კაროლინა), პოლ კარია (ნეშვილი) 40-40).

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 32; ტომ პრეისინგი (ოტავა) 29; დევიდ ლეგვანდი (ნეშვილი) 27; ტომაშ ვანეკი (ბუფალო) 24; დეიმონდ ლენგკოუ (კალგარი), რომან ჰამრლიკი (კალგარი) 22-22; კრის პრონგერი (ანაჰაიმი), კრის კუნიცი (ანაჰაიმი), დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 21-21; სელიანე, რობინ რეგერი (კალგარი) 20-20.

ავტორბოლა

# მონტოიამ დაიტონა დაიტოლა

**შარშან** შუა სეზონში „მაკლარენიდან" მოხსნილი კოლუმბიელი მეფორმულე ხუან-პაბლო მონტოია ამერიკულ „ნასკარის" სერიაში საჯირითოდ მიიწვიეს.



31 წლის პილოტმა სიამოვნებით მიიღო თავის კარიერაში ყველაზე სერიოზული გამოწვევა და ჩიპ გენასის გუნდთან ხანგრძლივი კონტრაქტიც გააფორმა: „ნასკარი სწორედ ისაა, რაც მჭირდება. ესაა ყველაზე პროგრესული სარბოლო ჩემპიონატი, რომელშიც 15 წელი მაინც შევძლებ ჯირითს."

ხუანმა წლის ბოლოს ახალ საქმესთან შესაჩვევად დაბალი დივიზიონის ორ ეტაპზე მიიღო მონაწილეობა და უკვე სადებიუტო რბოლაში ფინიშთან მესამე მივიდა.

ისე, მონტოიას არც „სამეფო რბოლების" ბოსთანგან აკლია ყურადღება, კერძოდ, „სკუდერია ტორო როსოსგან" მიიღო შეთავაზება, მაგრამ მაჩანჩალა საჯინიბოს უარით უპასუხა.

ოკეანგაღმა ახალი სეზონი კი კოლუმბიელმა პილოტმა მოგებით დაიწყო, ოღონდ არა „ნასკარის" კლასიკურ რბოლაში, არამედ დაიტონას ზეპოპულარულ 24-საათიან მარათონში. ამგვარი უხანგრძლივესი ჯირითისას გუნდში სამ-ოთხი მძღოლია, რომლებიც მორიგეობით უსხედან საჭეს.

მონტოიას, სკოტ პრიუეტისა და სალვადორ დურანის „რილი-ლექსუსმა" დღე-ღამის განმავლობაში 667 წრის შემოვლა მოასწრო და მეორე ადგილზე გასული ცნობილი მრბოლის პატრიკ კარპენტიეს „სამაქსის" ეკიპაჟი წუთით და 14 წამით ჩამოიტოვა.

**გია ახალაძე**

მთის თხილამურობა

## მსოფლიოს თასი

# ახალი შვედური მარკა

## იენს ბიგმარკი: უცნობი სტენმარკის მხარიდან



AFP

**21 წლის** შვედმა იენს ბიგმარკმა, ვისი სახელიც მშობლიური ქვეყნის იქით, ალბათ, არც არავინ იცოდა, 24 საათში საქვეყნო აღიარება მოიპოვა და მთის მოთხილამურეთა სამყარო ალაპარაკა — შვედებს ახალი სტენმარკი გამოუჩნდათო.

ინგემარ სტენმარკი თხილამურობის ლეგენდაა, სლალომის ძველი და უკვდავი მეფე, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს თასის სამგზის მფლობელი და თასის ეტაპებზე სარეკორდო რაოდენობის — 86 გამარჯვების მომპოვებელი კაცი. იენს ბიგმარკს სტენმარკთან აქამდე მხოლოდ ის აერთიანებდა, რომ ისიც ჩრდილოეთ შვედეთშია დაბადებული და აი, აქამდე უცნობმა მოთხილამურემ გასულ უქმეებზე ავსტრიულ კიცბიუელში ზედიზედ ორი სლალომი მოიგო და ხალხმაც ბიგმარკი უმალ სტენმარკის მემკვიდრედ მონათლა.

შაბათს უცნობმა შვედმა პირველივე დაშვებისას დაანოკაუტა მეტოქეები — თვით სლალომის ავსტრიელ ასს ბენჯამინ რაიხს წამზე მეტი მოუგო და სხვები კიდევ უფრო შორს ჩამოიტოვა. მეორე ცდაზე იენსმა აუღელვებლად შეინარჩუნა უპირატესობა, მით უმეტეს, რომ რაიხმა შეცდომები დაუშვა და საბოლოო ჯამში, მეორე ადგილზე გასული სხვა ავსტრიელი მარიო მატი შვედს 0,87 წამით ჩამორჩა.

კვირას ყველაფერი პირიქით მოხდა — პირველი ცდის შემდეგ იტალიელი მანფრედ მოელგი და მატი კარგა გვარიანად უსწრებდნენ შვედს, მაგრამ მეორე დაშვებისას ბიგმარკმა რისკიანად და უშეცდომოდ ჩაისრიალა, რაც მოელგმა და მატმა ვერა შეძლეს და შედეგად, შვედმა სულ მცირედით, მაგრამ მაინც აჯობა კონკურენტებს — მატი გამარჯვებულს სამი მეასედით ჩამორჩა და ისევ მეორე ადგილით დაკმაყოფილდა, ხოლო იტალიელმა ბიგმარკთან ხუთი მეასედი წამი წააგო.

მაშინ, როდესაც ახალი შვედი კიცბიუელში ყოჩაღობდა, ალპებს გადაღმა, იტალიურ სესტრიერეში ვეტერანმა ავსტრიელმა რენატე გიოტჩლმა მოიწყო ბენეფისი — სამ დღეში, ქინალამ სამი გამარჯვება მოიპოვა — 31 წლის რენატემ პარასკევს სუპერგიგანტი მოიგო, შაბათს — სწრაფდაშვება და კვირას კი — ისევ სუპერგიგანტში, მხოლოდ 0,17 წამით ჩამორჩა გამარჯვებულ ამერიკელ ლინდსი კილდოუს.

გიოტჩლის ანგარიშზე სეზონში უკვე — ექვსი, ხოლო კარიერაში 44 გამარჯვებაა და სესტრიერული ტრიუმფის წყალობით რენატე მსოფლიოს თასის გათამაშების საერთო ჩათვლასაც სათავეში მოექცა და თითქმის ასი ქულით გაექცა მანამდე მოლიდერე თანამემამულე მარლიზ შილდს.

### კაცები კიცბიუელი (ავსტრია)

| | |
|---|---|
| **სლალომი** | |
| 1. იენს ბიგმარკი (შვედეთი) | 1წთ.43,74წმ. (50,67+53,07) |
| 2. მარიო მატი (ავსტრია) | 1.44,61 (52,37+52,24) |
| 3. ალოიზ ფოგლი (გერმანია) | 1.45,22 (52,63+52,59) |
| 4. სილვინ ცურბრიგენი (შვეიცარია) | 1.45,35 (52,49+52,86) |
| 5. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 1.45,41 (51,74+53,67) |
| **სლალომი** | |
| 1. იენს ბიგმარკი (შვედეთი) | 1.44,20 (53,06+51,14) |
| 2. მარიო მატი (ავსტრია) | 1.44,23 (52,93+51,30) |
| 3. მანფრედ მოელგი (იტალია) | 1.44,25 (52,54+51,71) |
| 4. მარკ ბერთოდი (შვეიცარია) | 1.44,64 (53,10+51,54) |
| 5. ფელიქს ნოიროიტერი (გერმანია) | 1.44,69 (53,69+51,00) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 760 ქულა |
| 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 677 |
| 3. ბოდე მილერი (აშშ) | 640 |
| 4. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 605 |
| 5. პეტერ ფილი (იტალია) | 570 |

### ქალები სესტრიერე (იტალია)

| | |
|---|---|
| **სწრაფდაშვება** | |
| 1. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 1წთ.51,65წმ. |
| 2. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 1.52,82 |
| 3. მარია ჰოლაუსი (ავსტრია) | 1.53,00 |
| 4. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 1.53,15 |
| 5. ჯულია მანკუზო (აშშ) | 1.53,36 |
| **სუპერგიგანტი** | |
| 1. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 1.30,06 |
| 2. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 1.30,23 |
| 3. კრისტინ სპონრინგი (ავსტრია) | 1.30,35 |
| 4. ბრიტ იანიკი (კანადა) | 1.30,63 |
| 5. ტინა მაზე (სლოვენია) | 1.30,87 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 1001 ქულა |
| 2. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 916 |
| 3. ჯულია მანკუზო (აშშ) | 903 |
| 4. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 859 |
| 5. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 808 |

ტრამპლინიდან ხტომა

## მსოფლიოს თასი
### ობერსდორფი (გერმანია)

### კაცები

| | |
|---|---|
| **დიდი ტრამპლინი. HS 137** | |
| 1. ადამ მალიში (პოლონეთი) | 283,1 ქულა (132,5მ.+137,0მ.) |
| 2. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 279,9 (134,0+131,5) |
| 3. მიხაელ ურმანი (გერმანია) | 258,9 (121,5+134,0) |
| 4. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 258,8 (124,0+134,5) |
| 5. დმიტრი ვასილიევი (რუსეთი) | 258,4 (123,0+132,5) |
| **დიდი ტრამპლინი. HS 137** | |
| 1. მიხაელ ურმანი (გერმანია) | 285,1 ქულა (140,5მ.+129,0მ.) |
| 2. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 272,9 (131,5+131,5) |
| 3. ანდრეა მორაზი (იტალია) | 270,0 (133,0+132,0) |
| 4. ადამ მალიში (პოლონეთი) | 269,8 (131,5+129,5) |
| 5. ანდრეას კიუტელი (შვეიცარია) | 263,0 (123,0+134,5) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 877 ქულა |
| 2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 689 |
| 3. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 596 |
| 4. ადამ მალიში (პოლონეთი) | 557 |
| 5. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 550 |

ბარის თხილამურობა

## მსოფლიოს თასი
### ოტეპაიე (ესტონეთი)

### კაცები

| | |
|---|---|
| **15 კმ ინდივიდუალური კლასიკური** | |
| 1. აქსელ ტაიხმანი (გერმანია) | 41წთ.07,0წმ. |
| 2. ფროდე ესტილი (ნორვეგია) | 41.13,4 |
| 3. ოდ ბიორნ ჰელმესეტი (ნორვეგია) | 41.35,7 |
| 4. ფრანც გერინგი (გერმანია) | 41.44,8 |
| 5. იააკ მაე (ესტონეთი) | 41.46,4 |
| **სპრინტი. კლასიკური** | |
| 1. იენს არნე სვარტედალი (ნორვეგია) | |
| 2. ვასილი როჩევი (რუსეთი) | |
| 3. ტორინ კოოსი (აშშ) | |
| 4. ენდრიუ ნიუელი (აშშ) | |
| 5. სიმონ ოსტენსენი (ნორვეგია) | |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ტობიას ანგერერი (გერმანია) | 762 ქულა |
| 2. ალექსანდრ ლეგკოვი (რუსეთი) | 573 |
| 3. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია) | 459 |
| 4. ეიდარ რონინგი (ნორვეგია) | 393 |
| 5. ევგენი დემენტიევი (რუსეთი) | 297 |

### ქალები

| | |
|---|---|
| **10 კმ ინდივიდუალური კლასიკური** | |
| 1. იუსტინა კოვალჩიკი (პოლონეთი) | 30წთ.54,2წმ. |
| 2. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | 31.02,0 |
| 3. ვალენტინა შევჩენკო (უკრაინა) | 31.08,7 |
| 4. მარიტ ბიორგენი (ნორვეგია) | 31.14,1 |
| 5. მარიანა ლონგა (იტალია) | 31.26,5 |
| **სპრინტი. კლასიკური** | |
| 1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | |
| 2. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია) | |
| 3. ევგენია შაპოვალოვა (რუსეთი) | |
| 4. ნატალია მატვეევა (რუსეთი) | |
| 5. ლინა ანდერსონი (შვედეთი) | |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | 1097 ქულა |
| 2. მარიტ ბიორგენი (ნორვეგია) | 696 |
| 3. კატერინა ნოიმანოვა (ჩეხეთი) | 552 |
| 4. აინო კაისა საარინენი (ფინეთი) | 543 |
| 5. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია) | 511 |

ბობსლეი

## მსოფლიოს ჩემპიონატი
### სენტ მორიცი (შვეიცარია)

| | |
|---|---|
| **კაცები. ორადგილიანი** | |
| 1. ლანგე, კუსკე (გერმანია) | 4 წთ.26,62 წმ. |
| 2. რიუგი, ჰერცოგი (შვეიცარია) | 4 .26,81 |
| 3. ბერტაცო, რომანინი (იტალია) | 4 .27,28 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge